ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ვ. პ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.06.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 083/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დ. კ.-ის /სიითი №----/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2018 წლის 26 ივნისს საჩივრით მომართა ვ. პ.-მა და მოითხოვა ადვოკატ დ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორთან ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის გასაუბრება შედგა 2018 წლის 26 ივლისს, ხოლო 2018 წლის 17 დეკემბერს საჩივრის ავტორმა ელ. ფოსტით წარმოადგინა მოსაზრებები ადვოკატ დ. კ.-ის მიერ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გამოხატულ პოზიციებზე.

1.2 ვ. პ.-სა და შპს "იურიდიულ ფირმა ---"-ს შორის 2016 წლის 13 ოქტომბერს გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება. ხელშეკრულებით შპს „იურიდიულმა ფირმა ---"-მა იკისრა ვალდებულება საჩივრის ავტორისთვის გაეწია იურიდიული მომსახურება თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს დასაქმების სააგენტო „---"–ს, „---"–ს და „---" საქართველოს თბილისის ფილიალის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელზე წარმოებულ №---16 საქმეში. ---თან გაფორმებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება მოიცავდა ორ ეტაპს: 1. კლიენტისთვის – ვ. პ.-სთვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა, დოკუმენტაციის გაცნობა და ანალიზი, დაზუსტებული სარჩელის მომზადება და შეტანა სასამართლოში. პირველი ეტაპი იწყებოდა მხარეთა მიერ იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან და დასრულებულად ჩაითვლებოდა დაზუსტებული სარჩელის სასამართლოში წარდგენის დღეს; 2. კლიენტის – ვ. პ.-ს ინტერესების

დაცვა სასამართლოში და აღნიშნული ეტაპი დასრულდებოდა სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღეს.

1.3 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ შეთანხმებული მომსახურება საქმეზე №---16 ადვოკატმა ნაწილობრივ შეასრულა: კერძოდ, კლიენტს ნაწილობრივ გაუწია სამართლებრივი კონსულტაცია; გაეცნო საქმის მასალებს და გაანალიზა დოკუმენტაცია; მოამზადა დაზუსტებული სარჩელის მხოლოდ შრომითსამართლებრივი ურთიერთობის ნაწილი და წარადგინა სასამართლოში; განცხადებით მიმართა მოსამართლეს საქმის მედიაციისთვის გადაცემის თაობაზე; წარმომადგენლის სახით ესწრებოდა სასამართლო მედიაციის გაცნობით შეხვედრას და სასამართლოში ჩატარებულ პირველ ზეპირ მოსმენას; ადვოკატმა კლიენტს შესაძლებლობა მისცა ნაწილ–ნაწილ გადაეხადა ჰონორარი და დათქმულ დროზე მოგვიანებით; ხოლო ბიუროს მხრიდან 2018 წლის 21 მაისს წარმომადგენლობის განხორციელებაზე უარის თქმის შემდეგ ადვოკატმა საჩივრის ავტორს დაუბრუნა გადახდილი ჰონორარის ნახევარი. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 2018 წლის 29 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩანიშნული იყო სასამართლო სხდომა და ადვოკატმა დ. კ.-მა სწორედ ამ პერიოდში, 21 მაისს განაცხადა უარი მისი ინტერესების დაცვაზე.

1.4 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მისი პრეტენზიები ადვოკატის მიმართ გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

1.4.1 ადვოკატმა მოპასუხისგან არ გამოითხოვა საქმისთვის არსებითად მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია და ამით ზიანი მიაყენა კლიენტის ინტერესებს. კერძოდ, ადვოკატმა არ გამოითხოვა ვ. პ.-სა და დასაქმების სააგენტო „---“ შორის დადებულ შრომით ხელშეკრულებაში მითითებული კონტრაქტი, რომელიც "---" საქართველოს თბილისის ფილიალსა და დასაქმების სააგენტო "---" შორის არსებულ ურთიერთობას არეგულირებდა. ადვოკატების არგუმენტით, აღნიშნული ხელშეკრულება შესაძლოა შეიცავდა ისეთ ინფორმაციას, რომელიც საზიანო იქნებოდა მათ მიერ სასამართლოში წარსადგენი დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნისთვის. ადვოკატი ასევე წინააღმდეგი იყო გამოეთხოვა ვ. პ.-ს მიმართ მოპასუხე კომპანიების მიერ დისციპლინური წარმოების მასალები იმ მოტივით, რომ ეს დამატებით გაართულებდა და გაზრდიდა საქმის მასალებს და არ იქნებოდა გამოსადეგი. საბოლოოდ დაზუსტებული სარჩელის წარდგენისას მან აღარ მიუთითა სხვა სახის შუამდგომლობების გრაფაში აღნიშნული დოკუმენტების გამოთხოვის საკითხი. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატის უმოქმედობამ ხელი შეუშალა საქმის სრულყოფილ გამოკვლევას და მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებში იყო.

1.4.2 არ ურთიერთობდა აღნიშნულ საქმეში მეორე ადვოკატთან, რომელიც არსებითად იყო ჩართული სარჩელის დისკრიმინაციის ნაწილში. დამსაქმებელმა ვ. პ.-ს მიმართ განახორციელა პროფკავშირული ნიშნით დისკრიმინაცია. თავდაპირველი სარჩელი სასამართლოში წარადგინა პროფკავშირების იურისტმა თ. გ.-მ, რომელიც შემდეგ დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნებიდან მხოლოდ დისკრიმინაციის ნაწილის მომზადებაში იყო ჩართული. ადვოკატმა დ. კ.-მა არ ითანამშრომლა პროფკავშირების იურისტთან, მიუხედავად იმისა, რომ დისკრიმინაციის საფუძვლიდან გამომდინარე საჩივრის ავტორს სურდა საქმეში ჩართული ყოფილიყო პროფკავშირის იურისტი. შპს „იურიდიულმა ფირმა ---“–მა პასუხისმგებლობა აიღო მთლიანად სარჩელზე, თუმცა

შემდეგ ადვოკატმა სასარჩელო მოთხოვნის დიკრიმინაციის ნაწილზე მუშაობის პასუხისმგებლობა პროფკავშირების იურისტს დააკისრა. ადვოკატი საჩივრის ავტორის მიმართ დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაციის არსებობას საეჭვოდ ხდიდა. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი სასარჩელო მოთხოვნის დისკრიმინაციის ნაწილთან დაკავშირებით მისი და პროფკავშირების იურისტის მიერ სასამართლოში მტკიცებულებების დართვის თაობაზე წარდგენილი შუამდგომლობებით არ დაინტერესდა. პროფკავშირების იურისტსა და შპს „იურიდიულ ფირმა--"-ს შორის ერთი გაცნობითი შეხვედრის გარდა სხვა სახის კომუნიკაცია ან სამოქმედო სტრატეგიაზე შეთანხმება არ ყოფილა. ადვოკატსა და პროფკავშირების იურისტს შორის არარსებული კომუნიკაციის გამო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სასამართლო სხდომაზე ადვოკატებმა გააჟღერეს განსხვავებული პოზიციები, რამაც საბოლოოდ ზიანი მიაყენა საქმის განხილვას. საჩივრის ავტორის აზრით, ორი წლის ურთიერთობის მანძილზე 70-მდე მეილის გაგზავნა და ის, რომ CC-ში იყვნენ ადვოკატები ჩართულნი არ ნიშნავს, რომ მათ შორის საჭირო კომუნიკაცია შედგა.

1.4.3 დ. კ.-მა სარჩელში გაუგებრად მიუთითა მოპასუხეები, რის გამოც მოსამართლემ პირველივე სხდომაზე დააყენა საკითხი მოპასუხეების დაზუსტების შესახებ. ადვოკატმა დაზუსტებულ სარჩელში არასწორად მიუთითა მოპასუხე მხარეები - მოპასუხის გრაფაში ძირითადი საწარმოს გვერდით ფრჩხილებში მიუთითა ძირითადი საწარმოს თბილისის ფილიალი, რის გამოც მოსამართლემ პირველივე სხდომაზე მოითხოვა მოპასუხეთა და მოთხოვნათა დაზუსტება. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მასთან შეთანხმების მიუხედავად, რომელიც გულისხმობდა სარჩელში მოპასუხე მხარედ ძირითადი საწარმოს მითითებას ადვოკატი მოსამართლეს დაეთანხმდა მოპასუხეთა დაზუსტების საკითხში. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ იგი წინააღმდეგი იყო სარჩელში დასახელებული რომელიმე მოპასუხის პასუხისმგებლობის გამორიცხვაზე. მოპასუხეთა დაზუსტების მიზნით სხდომა გადაიდო და საქმის განხილვა გაჭიანურდა. ადვოკატმა საჩივრის ავტორთან შეთანხმებით დააზუსტა სარჩელი და მოპასუხე მხარეები უცვლელი დატოვა. რეალურად მოპასუხეები არ დაზუსტებულა, რადგან მოპასუხეთა გრაფაში მხოლოდ ფრჩხილები მოიხსნა და დაემატა „და" კავშირი.

1.4.4 ---ის რჩევით დაზუსტებული სარჩელის თარგმანი დ. კ.-მა არ გააგზავნა მოპასუხე ძირითად საწარმოსთან. მოპასუხე მხარის ძირითადი საწარმო ლონდონში მდებარეობს. საჩივრის ავტორმა ადვოკატის რჩევით ნათარგმნი დაზუსტებული სარჩელის ნაცვლად მხოლოდ ქართულ ენაზე დაბეჭდილი სარჩელი გააგზავნა მოპასუხე მხარესთან ლონდონის მისამართზე. ლონდონში სარჩელის ქართულ ენაზე გაგზავნის გამო მოპასუხე მხარემ არ წარმოადგინა შესაგებელი და არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლე არ ფლობდა ინფორმაციას, გაეგზავნა თუ არა სარჩელი მოპასუხის ძირითად საწარმოს.

1.4.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მოპასუხეთა მხრიდან შესაგებლის წარდგენის შემდეგ სრულყოფილად არ გაუწია სამართლებრივი კონსულტაცია დამატებითი მტკიცებულებების მომზადების თაობაზე. ადვოკატმა აქცენტი გააკეთა მხოლოდ დისკრიმინაციის ნაწილზე და სარჩელის შრომით ნაწილში ახალი მტკიცებულებების და შუამდგომლობების წარდგენის საჭიროება ვერ დაინახა. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მან მთავარ სხდომაზე მოსამართლის წინაშე დააყენა

შუამდგომლობა მტკიცებულებების დართვის შესახებ, თავის მხრივ ამას მოჰყვა მოპასუხე მხარის პრეტენზია. იმის გათვალისწინებით, რომ მთავარ სხდომაზე ახალი მტკიცებულებების წარდგენა რთულია, აღნიშნული ვერ განხორციელდა.

1.4.6 -- -მა ერთ-ერთი მოპასუხის მხრიდან შესაგებლის წარმოუდგენლობის საკითხი არ დააყენა სასამართლოში. მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე ძირითადი საწარმოსგან არ მიუღიათ შესაგებელი და არც მის ფილიალს წარმოუდგენია ძირითადი საწარმოს წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, --- -იმ არ ჩათვალა საჭიროდ, რომ მიემართა სასამართლოსთვის ამ საკითხზე. აღნიშნულმა მოგვიანებით გამოიწვია მოპასუხე ძირითადი საწარმოს გამოუცხადებლობა სასამართლო სხდომაზე. აღნიშნულმა კიდევ უფრო გააჭიანურა საქმისწარმოება და გაართულა მოპასუხეების საკითხი.

1.4.7 ადვოკატმა განახორციელა არაკეთილსინდისიერი და მოსარჩელისთვის წამგებიანი ქმედებები სასამართლო მედიაციის დროს. სასამართლოს მოუცლელობის გამო საქმისწარმოება ჭიანურდებოდა, ამიტომ ვ. პ.-მა მოითხოვა საქმის მორიგებით დასრულება ან სასამართლო მედიაციისთვის მიმართვა. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მედიაციის მიმართ ადვოკატ დ. კ.-ის სკეპტიკური განწყობის მიუხედავად ამ უკანასკნელმა მისი თხოვნით მოამზადა განცხადება საქმის მედიაციისთვის გადაცემის თაობაზე. საჩივრის ავტორმა მედიატორად აირჩია ს. ჩ. მედიაციის გაცნობით შეხვედრაზე საჩივრის ავტორისთვის ცნობილი გახდა, რომ მედიატორი ს. ჩ. ადვოკატ დ. კ.-ის ნათლიმირონობითი კავშირი ჰქონდათ. მოლაპარაკებების დროს მედიატორს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა, როგორც ადვოკატ დ. კ.-თან, ასევე საჩივრის ავტორთან. ადვოკატმა დ. კ.-მა სასამართლო მედიაციის პროცესში იმოქმედა არაკეთილსინდისიერად და მოსარჩელე მხარის ინტერესების საწინააღმდეგოდ. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ დიდი ალბათობით ადვოკატ დ. კ.-თან შიდა საუბრები მედიატორისთვისაც გახდა ცნობილი.

საჩივრის ავტორისთვის ცნობილი ინფორმაციით მედიაციის მოლაპარაკებების პროცესი მიმდინარეობდა დამსაქმებელი ძირითადი საწარმოს წარმომადგენელთან – ს. ბ.-თან, თუმცა მოგვიანებით შეიტყო, რომ მოლაპარაკებებში ჩართული იყო მხოლოდ ს. ს. – დასაქმების სააგენტოს წარმომადგენელი. საჩივრის ავტორისთვის მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ მოპასუხე ძირითადი საწარმო და მისი თბილისის ფილიალი საწყის ეტაპზევე გაეთიშნენ მოლაპარაკებების პროცესს, რაც დროულად არ ეცნობა საჩივრის ავტორს.

სასამართლოს დავალებით მედიატორს მონაწილე მხარეებთან უნდა ჩაეტარებინა მინიმუმ ორი შეხვედრა. შეხვედრების ორგანიზება ვერ ხდებოდა, რადგან მედიატორის განმარტებით არ არსებობდა შეხვედრის საჭიროება, რასაც ეთანხმებოდა ადვოკატიც. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მხარეთა შორის კომუნიკაციის გართულებამ და გაუგებრობამ გამოიწვია მედიაციის პროცესის წარუმატებლად დასრულება. მედიაციის პროცესის გაჭიანურებით მოპასუხე მხარემ თითქმის ერთი წელი მოიგო, ხოლო საჩივრის ავტორის მხრიდან მედიაციის პროცესში მოპასუხისთვის შეთავაზებული მორიგების პირობები ამ უკანასკნელმა მოსამართლეზე საჩივრის ავტორის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების შესაქმნელად გამოიყენა.

1.4.8 ადვოკატმა მედიაციის გაცნობით შეხვედრაზე არ მოითხოვა მოპასუხე მხარის წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მედიაციის გაცნობით შეხვედრას ესწრებოდნენ, როგორც მისი ადვოკატი ასევე მოპასუხე მხარეები. მედიაციის პროცესში მოპასუხე მხარეებს არ წარუდგენიათ წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. მედიატორ ს. ჩ.-ს და ადვოკატს არ მოუთხოვიათ მოპასუხე მხარეებისთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთის წარდგენა. მოგვიანებით სასამართლოს ზეპირ განხილვაზე ფილიალმა ვერ წარმოადგინა ძირითადი საწარმოს მხრიდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. საჩივრის ავტორის პოზიციით, ის ფაქტი, რომ იგი აპროტესტებდა მედიაციის პროცესის გაჭიანურებას, ეს არ უნდა გამხდარიყო ადვოკატის მხრიდან სავალდებულო პროცედურებზე უარის თქმის მიზეზი. მოპასუხე ბი-პის წარმომადგენლობის ფაქტი რომ გადაემოწმებინა ადვოკატს მარტივად იქნებოდა ისეთი სიტუაცია, როდესაც ,,ერთი მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო, დავის სასამართლოს მიერ განხილვისას გამოუცხადებელ მხარეს დააკისრებდა სასამართლო ხარჯების სრულად ანაზღაურებას მიუხედავად იმისა, რა შედეგით დასრულდებოდა საქმის განხილვა.“ საჩივრის ავტორის პოზიციით, მედიატორი ს. ჩ. და ადვოკატი დ. კ.მოპასუხე მხარეებთან შეთანხმებით მოქმედებდნენ მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ.

1.4.9 მედიაციის დროს ადვოკატმა საჩივრის ავტორს ზედმეტად ოპტიმისტურად შეაფასებინა რისკები, რამაც გამოიწვია მოპასუხის უარი მორიგებაზე. მედიაციის პროცესი დავის მედიაციისთვის გადაცემის დღიდან პროცესის დასრულებამდე გაგრძელდა 293 დღე. საჩივრის ავტორმა მედიაციის მოლაპარაკებების დროს ადვოკატ დ. კ.-თან კონსულტაციისას შეაფასა სარჩელის რისკები და დაიანგარიშა კომპენსაცია. ადვოკატმა დ. კ.-მა საჩივრის ავტორს დაუდასტურა, რომ სარჩელის მოგების 72%–იანი ალბათობა არსებობდა. გაწეულ კონსულტაციაზე დაყრდნობით საჩივრის ავტორმა მედიაციის პროცესში კომპენსაციის სახით მოითხოვა მაქსიმალური თანხა, რაზეც მოპასუხე მხარემ უარი განაცხადა. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატ დ. კ.-ის ოპტიმისტური განწყობის გამო გაუჩნდა სარჩელის მოგებაზე მოლოდინები და სწორედ ამიტომ დაასახელა მედიაციის პროცესში მაღალი თანხა. მედიაციის პროცესი 45 დღის ნაცვლად გაგრძელდა 123 დღე და ამის შესახებ ადვოკატს არ გამოუთქვამს პრეტენზია.

1.4.10 ადვოკატმა არ ჩათვალა მოსამართლის მიერ მთავარი სხდომის ჩანიშვნა პრობლემად მიუხედავად იმისა, რომ საქმე არ იყო მომზადებული და უამრავი დამატებითი მტკიცებულების წარდგენა იყო შესაძლებელი. მედიაციის პროცესის უშედეგოდ დასრულების შემდეგ მოსამართლემ ერთპიროვნული გადაწყვეტილებით ჩანიშნა საქმის განხილვის მთავარი სხდომა. საჩივრის ავტორმა თხოვნით მიმართა ადვოკატს, რომ სასამართლოს წინაშე ეშუამდგომლა საქმის მოსამზადებელ ეტაპზე დაბრუნების თაობაზე, რადგან საჭირო იყო დამატებითი დოკუმენტაციის და მტკიცებულებების წარდგენა. ადვოკატმა დ. კ.-მა შუამდგომლობის დაყენებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ საქმის მოსამზადებელ ეტაპზე დაბრუნებით მოპასუხე მხარეს მიეცემოდა შესაძლებლობა სასამართლოში წარმოედგინა ახალი მტკიცებულებები, ხოლო მთავარ სხდომაზე ამის გაკეთება გაცილებით რთული იქნებოდა. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატის მხრიდან განხორციელებული უმოქმედობის გამო მას შეეზღუდა

შესაძლებლობა მიმდინარე საქმეზე სასამართლოში წარედგინა დამატებითი მტკიცებულებები.

1.4.11 ადვოკატმა მთავარ სხდომაზე მოპასუხე ძირითადი საწარმოს გამოუცხადებლობის გამო სასამართლოს წინაშე არ დააყენა შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. მოსარჩელე მხარეს აღნიშნული შუამდგომლობის დაყენება შეეძლო იმ ფარგლებში, რაც სასარჩელო მოთხოვნით მოპასუხე მხარის მიმართ იყო მიმართული. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი დაპირდა ამ უფლების შემდეგ სასამართლო სხდომაზე გამოყენების თაობაზე, თუმცა ადვოკატმა შემდეგ სხდომამდე ერთი კვირით ადრე უარი განაცხადა მისი ინტერესების დაცვაზე. პირველ სასამართლო სხდომაზე მოპასუხეთა დაზუსტების მოთხოვნის გამო ვერ მოხერხდა დაუსწრებელი გადაწვეტილების თაობაზე შუამდგომლობის დაყენება, შემდეგ კი მოპასუხე ძირითად საწარმოს არ გაეგზავნა უწყება სხდომის ჩანიშვნის შესახებ. ამ ფაქტმა საჩივრის ავტორს მეორედ შეუზღუდა შესაძლებლობა გამოეყენებინა კანონით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა. საჩივრის ავტორი ფიქრობს, რომ ადვოკატი მოპასუხე მხარესთან შეთანხმებით მოქმედებდა და სწორედ ამ მიზეზით არ მიიღო მოსამართლემ განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე.

1.4.12 ადვოკატი დაეთანხმა მოსამართლეს მოპასუხეების დაზუსტებაზე მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ ჰქონდათ შეთანხმებული, რომ მოპასუხე ძირითადი საწარმოს ამოღება არ მოხდებოდა. პირველ სასამართლო ზეპირ მოსმენაზე მოსამართლისთვის გაუგებარი აღმოჩნდა -- -ის მიერ მითითებული მოპასუხეები. ამის გამო მოსამართლემ სხდომაზე ურჩია მოსარჩელის წარმომადგენელს დაეზუსტებინათ მოპასუხეები. დ. კ. დაეთანხმა მოსამართლეს მოპასუხეების დაზუსტებაზე, თუმცა სხდომაზევე ისაუბრა კლიენტთან, რომელიც წინააღმდეგი იყო რომელიმე მოპასუხის გამორიცხვის. ადვოკატი დაეთანხმა კლიენტს, რომ მოპასუხეებს არ შეცვლიდნენ და ახალ პრაქტიკასთან ერთად თავიდან წარადგენდნენ სარჩელის დაზუსტებას. შეთანხმებისამებრ, ბიურომ მოამზადა სარჩელის დაზუსტება და უცვლელი დატოვა მოპასუხეები. საჩივრის ავტორს ადვოკატისგან ჰქონდა ზეპირი თანხმობა, რომ თუ მოპასუხე ძირითადი საწარმო არ გამოცხადდებოდა სხდომაზე, ისინი ამჯერად დააყენებდნენ შუამდგომლობას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო. თუმცა ადვოკატმა კლიენტს უარი უთხრა მომსახურების გაგრძელებაზე სხდომამდე ერთი კვირით ადრე. საჩივრის ავტორს აღნიშნული შუამდგომლობის დაყენება შეთანხმებული ჰქონდა მეორე წარმომადგენელთანაც, თუმცა მეორე ზეპირ მოსმენაზე, როდესაც ძირითადი საწარმო ისევ არ გამოცხადდა, საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა ვეღარ იშუამდგომლა მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებაზე. მოსამართლის განცხადებით, გამომდინარე იქიდან, რომ გაურკვეველი იყო მოპასუხეები და მოსარჩელის წრმომადგენელი პირველ სხდომაზე დათანხმდა მოპასუხეების დაზუსტებას, მოპასუხე ძირითადი საწარმო არც ყოფილა მოწვეული სხდომაზე. ამ ფაქტმა უკვე მეორედ შეუზღუდა საჩივრის ავტორს უფლება გამოეყენებინა კანონით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ადვოკატის თანხმობის გამო მოპასუხეების დაზუსტებაზე მას შეეზღუდა აღნიშნული შუამდგომლობის დაყენების

უფლება, თუმცა ადვოკატისთვის თავიდანვე ცნობილი იყო, რომ მოპასუხეები არ შეიცვლებოდა და მისი თანხმობა ცვლილებაზე გამორიცხავდა შემდეგ სხდომაზე შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობას.

1.4.13 ადვოკატმა დ. კ.-მა არ გააპროტესტა მოპასუხე მხარის მხრიდან სასამართლო პროცესებზე საჩივრის ავტორის მისამართით ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებული კითხვების დასმა. დასაქმების სააგენტომ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა საჩივრის ავტორის დასაქმების და ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე; დასაქმების სააგნეტო „--“ საჩივრის ავტორისგან ითხოვდა ეღიარებინა სად მუშაობდა და რამდენი ჰქონდა ანაზღაურება. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნა არ იყო მიმართული აღნიშნული მოპასუხის მიმართ, შესაბამისად, ადვოკატს უნდა გამოეთქვა პრეტენზია დასაქმების სააგენტო „--“ მიერ დაყენებული შუამდგომლობის და საქმესთან შემხებლობაში არმქონე კითხვების დასმის თაობაზე.

1.4.14 ადვოკატმა არ გააპროტესტა მოპასუხის მხრიდან მედიაციის კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟღერების მცდელობა. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მოპასუხე მხარეს სასამართლოს ზეპირი მოსმენის დროს სურდა გაეჟღერებინა მედიაციის პროცესში მორიგების მიზნით საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული თანხის ოდენობა, რათა მოსამართლეს ნეგატიური განწყობა შექმნოდა საჩივრის ავტორის მიმართ – თითქოს მას მხოლოდ ფინანსური დაინტერესება გააჩნია. საჩივრის ავტორის წარმომადგენლმა არ გააპროტესტა მოპასუხე მხარის მხრიდან მედიაციის პროცესში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების მცდელობა. საჩივრის ავტორის განცხადებით, აღნიშნული ინფორმაციის გაჟღერებას ცდილობდა ანაზღაურების საკითხთან შემხებლობაში არმყოფი მოპასუხე.

1.4.15 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა დ. კ.-მა არ ითანამშრომლა საქმეში დამატებით ჩართულ იურისტებთან. შპს „იურიდიულ ფირმა --“-თან დადებული ხელშეკრულება მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობას ითვალისწინებდა. საჩივრის ავტორმა გადაწყვიტა, რომ აეყვანა წარმომადგენელი, რომელიც სამივე ინსტანციის და ევროპის სასამართლოში იქნებოდა მისი ინტერესების დამცველი. საქმეში დამატებით ჩართული იურიდიული ფირმა დაუკავშირდა ადვოკატ დ. კ.-ს კოორდინირებული მუშაობის მიზნით, თუმცა შპს „იურიდიულმა ფირმა --“-მა სასამართლოს სხდომამდე ერთი კვირით ადრე უარი განაცხადა საჩივრის ავტორის წარმომადგენლობაზე. საჩივრის ავტორის მხრიდან არაერთი განმარტების მიუხედავად ადვოკატმა უარი განაცხადა საქმის წარმოების გაგრძელებაზე. ადვოკატმა არ უპასუხა ახალი იურისტების წერილებს და სრულად არ გადააბარა მათ საქმის მასალები. აღნიშნული კიდევ ერთხელ მიუთითებს ადვოკატ დ. კ.-ის არაკეთილსინდისიერ საქციელსა და შურისძიების მიზანზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მოპასუხესთან შეთანხმებით მოქმედებდა მის წინაღმდეგ, რადგან საჩივრის ავტორის არასათანადოდ დაცვა მხოლოდ მოპასუხე მხარის ინტერესებს ემსახურებოდა.

1.4.16 სასამართლო სხდომამდე ერთი კვირით ადრე საბოლოოდ უარი განაცხადა წარმომადგენლობაზე. ადვოკატმა საჩივრის ავტორს 21 მაისს მისწერა, რომ უარს აცხადებდა მასთან თანამშრომლობაზე. მისი მხრიდან სხდომამდე ერთი კვირით ადრე

უარის თქმამ და საქმის სრულფასოვნად გადაუბარებლობამ გამოიწვია არასასურველი შედეგი, რადგან ახალმა ადვოკატებმა ვერ შეძლეს საქმის სათანადოდ მომზადება და სხდომაზე კვალიფიციური წარმომადგენლობის განხორციელება.

1.4.17 არ გადაამოწმა მოპასუხე კომპანიის წესდება, რომელიც საჯარო ინფორმაციაა. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატებმა დ. კ.-მა და თ. ც.-მა არ გადაამოწმეს მოპასუხე კომპანიის წესდება, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას წარმოადგენს. სასამართლოს ზეპირ სხდომაზე ფილიალმა ვერ წარადგინა ძირითადი საწარმოსგან წარმომადგენლობის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტი. ზოგადად სასამართლოსთვის უცნობი იყო რა უფლებამოსილებით სარგებლობდა უცხოური ძირითადი საწარმოს ფილიალი საქართველოში. სამეწარმეო რეესტრში ფილიალს წარდგენილი ჰქონდა მხოლოდ ძირითადი საწარმოს წესდება. საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული წესდება ადვოკატ დ. კ.-ს არ გამოუყენებია, როგორც უტყუარი მტკიცებულება ძირითადი საწარმოს სწორ მოპასუხედ მითითების დასადასტურებლად. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა დ. კ.-მა შეგნებულად დამალა დოკუმენტების არსებობა, რითაც მოპასუხე მხარეს მისცა შესაძლებლობა ეჭქვეშ დაეყენებინა ფილიალის და ძირითადი საწარმოს მოპასუხედ მითითების საკითხი. შედეგად გაჭიანურდა სასამართლო პროცესის მსვლელობა.

1.5 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2018 წლის 26 ივლისს საჩივრის ავტორმა დამატებით განაცხადა, რომ იგი სამსახურიდან ოფიციალურად გაათავისუფლეს 2016 წლის 10 ივნისს. საჩივრის ავტორმა გათავისუფლების შესახებ შეტყობინება მიიღო აპრილის თვეში, ხოლო პირველი სარჩელი 2016 წლის 03 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანეს პროფკავშირების იურისტებმა თ. გ.-მ და რ. ლ.-მა. სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში სარჩელი, რადგან საჩივრის ავტორი ოფიციალურად 10 ივნისიდან იყო გათავისუფლებული. საჩივრის ავტორმა მეორე სარჩელი სასამართლოში შეიტანა 2016 წლის 13 ივლისს, რომელიც სასამართლომ წარმოებაში მიიღო. სარჩელი მოამზადა იურისტმა თ. გ.-მ.

1.6 საჩივრის ავტორმა განაცხადა, რომ 2016 წლის 29 დეკემბერს სასამართლოში შეიტანა დაზუსტებული სარჩელი, რომელიც მოამზადეს შპს „იურიდიული ფირმა --“-ის ადვოკატებმა დ. კ.-მა და თ. ც.-მა.

1.7 საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ პირველ სასამართლო პროცესზე იურისტ თ. გ.-ს მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობა არ ჰქონდა, რადგან მან პროცესზე საჩივრის ავტორის მიზეზით საათნახევარი დააგვიანა.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი დ. კ. 2017 წლის 25 დეკემბრამდე იყო ჩართული მედიაციის პროცესში. შემდეგ მედიატორი ერთი თვით წავიდა სასწავლებლად და საჩივრის ავტორმა ითხოვა მიმდინარე საქმეში მედიატორად ჩართულიყო ი. ყ. ამის შემდეგ ადვოკატმა დ. კ.-მა უარი განაცხადა მედიაციის პროცესში საჩივრის ავტორის წარმომადგენლობაზე.

1.9 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატმა დ. კ.-მა 2018 წლის 03 მაისს განაცხადა უარი სასამართლოში წარმომადგენლობის განხორციელებაზე, თუმცა პროცესამდე მხოლოდ ერთი კვირით ადრე გახდა საჩივრის ავტორისთვის წერილობითი ფორმით ცნობილი, რომ შპს „იურიდიულმა ფირმა --“-მა მასთან ხელშეკრულება შეწყვიტა. საჩივრის ავტორის

განცხადებით, პროცესების მსვლელობის განმავლობაში საჩივრის ავტორი ენდობოდა შპს „იურიდიული ფირმა --“-ის ადვოკატებს და მათ მიმართ არანაირი პრეტენზია არ გააჩნდა.

1.10 საჩივრის ავტორის 2018 წლის 9 ოქტომბრის ელ. ფოსტით გამოგზავნილი განმარტებით, ადვოკატმა დ. კ.-მა ეთიკის კომისიაში შემოტანილ საჩივარზე პასუხის მომზდებისას გამოიყენა სასამართლოს ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა ინფორმაციის მისაღებად, მაშინ, როდესაც იმ პერიოდში მხარეებს შორის შეწყვეტილი იყო ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. კერძოდ, ადვოკატის შეპასუხებას ერთვის მტკიცებულება N39- ვ. პ. ს 2018 წლის 25 მაისით დათარიღებული განცხადება.

2. მოწმის ვ. მ.-ის განმარტება:

2.1 მოწმის სახით ვ. მ.-ის გამოკითხვის თაობაზე ვ. პ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე 2018 წლის 9 ოქტომბერს კოლეგია გაესაუბრა ვ. მ.-ს. მოწმემ განმარტა, რომ მან საქმის დეტალები ნაკლებად იცოდა, თუმცა დასწრებია სასამართლო პროცესებს და როდესაც ვ. პ. არ იყო საქართველოში, ეხმარებოდა საქმისწარმოებაში. მოწმე უთითებს, რომ ის ადვოკატ დ. კ.-სა და ვ. პ.-ს ორ შეხვედრას დაესწრო. აქედან ერთზე განიხილეს მოპასუხეთა დაზუსტების საკითხი, ხოლო მეორე შეხვედრაზე მოპასუხეთა გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები. ვ. პ.-ს სურდა მოპასუხედ სარჩელში მითითებული ყოფილიყო როგორც ---, ასევე მისი თბილისის ფილიალი, ხოლო ადვოკატი ურჩევდა მხოლოდ სათავო ოფისი დაესახელებინათ მოპასუხედ. აღნიშნული მოსაზრება ვ. პ.-მა არ გაიზიარა და მცირე ტექნიკური დეტალის ცვლილებით მიუთითეს ორივე დაზუსტებულ სარჩელში.

2.2 მოწმის განმარტებით, მისთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ ადვოკატმა დ. კ.-მა სხდომამდე ცოტა ხნით ადრე უთხრა უარი ვ. პ.-ს საადვოკატო მომსახურების გაგრძელებაზე. მისი ინფორმაციით უარის თქმა გამოიწვია საქმის დეტალებზე შეუთანხმებლობამ.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატმა დ. კ.-მა 2018 წლის 13 ივლისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი განმარტება, ხოლო 2018 წლის 01 ნოემბერს ადვოკატი გაესაუბრა ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიას, რომლის მიხედვით, შპს „იურიდიული ფირმა ---“-ის ადვოკატები დ. კ. და თ. ც. ერთობლივად იცავდნენ ვ. პ.-ს ინტერესებს თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავაზე 2016 წლის 13 ოქტომბრის იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე.

3.2 საჩივრის ავტორმა – ვ. პ.-მა შპს „იურიდიულ ფირმა ---“-ს წარმომადგენლობის გაწევის თხოვნით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ა. კ.-ის წარმოებაში არსებულ №--- –16 საქმეზე. იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების დადებას წინ უძღოდა საჩივრის ავტორსა და საქმეში შემდგომ ჩართულ ადვოკატებს – დ. კ.-სა და თ. ც.-ს შორის შეხვედრა, სადაც განიხილეს საქმის მიმდინარე მდგომარეობა და პერსპექტივები. მხარეთა შორის ხელშეკრულების გაფორმებამდე შეხვედრა შედგა საქმეში მონაწილე სხვა იურისტთან - თ. გ.-სთან, რომელმაც შპს „იურიდიული ფირმა --“-ის ადვოკატებს თავისი ხედვა გააცნო სარჩელზე. ადვოკატებსა და საჩივრის ავტორს შორის

ჩამოყალიბდა საკმაოდ აქტიური კომუნიკაცია სატელეფონო და ელექტრონული მიმოწერის ფორმით.

3.3 მხარეთა შორის გაფორმებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება ითვალისწინებდა კლიენტისთვის წარმომადგენლობის გაწევას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის შესახებ სასარჩელო მოთხოვნების ფარგლებში. დისკრიმინაციის ფაქტის დადგენაზე და მასთან დაკავშირებულ სასარჩელო მოთხოვნაზე საჩივრის ავტორის გადაწყვეტილებით წარმომადგენლობას ახორციელებდნენ პროფკავშირების იურისტები თ. გ. და რ. ლ.

3.4 ქვემოთ წარმოდგენილია ადვოკატის განმარტებები საჩივრის ავტორის პრეტენზიებზე:

3.4.1 საჩივრის ავტორს რამდენჯერმე ჰქონდა სასამართლოში სარჩელი წარდგენილი შპს „--“–ს, ,,---“–ისა და „.--ის“ საქართველოს თბილისის ფილიალის წინააღმდეგ. პირველ ორ შემთხვევაში სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო (თბილისის საქალაქო სასამართლოს 07.03.2016, საქმე N----16 და 08.06.2016, საქმე N---16 წლების განჩინებები სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ), ხოლო მესამე მიმართვის შემდეგ ვ. პ.-ს სარჩელი სასამართლომ წარმოებაში მიიღო (13.07.2016 სარჩელი). ადვოკატის განმარტებით, სწორედ ამ უკანასკნელ დოკუმენტში იყო წარმოდგენილი შუამდგომლობა შპს დასაქმების სააგენტო „.--“ და „.-ის“ საქართველოს თბილისის ფილიალს შორის დადებული ხელშეკრულების, აგრეთვე დისციპლინური მოკვლევის მასალების გამოთხოვის შესახებ. საქმის მასალების დეტალურად შესწავლის შედეგად ადვოკატმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია შპს დასაქმების სააგენტო „---“ და „.---ის“ საქართველოს თბილისის ფილიალს შორის დადებული ხელშეკრულების გამოთხოვა, რადგან აღნიშნულ დოკუმენტაციაში არსებობდა კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო ინფორმაციის აღმოჩენის მაღალი ალბათობა. ადვოკატების შეფასებით, აღნიშნული დოკუმენტი არ იქნებოდა იმდენად მნიშვნელოვანი და რელევანტური სასარჩელო მოთხოვნების პოზიტიურად გადაწყვეტისთვის, რომ ზემოთხსენებული რისკი გადაეფარა. იმის გათვალისწინებით, რომ დაზუსტებულ სარჩელს თან ერთვოდა სასარჩელო მოთხოვნების დამადასტურებელი არაერთი მტკიცებულება, არ არსებობდა ზემოთაღნიშნული ხელშეკრულების გამოთხოვის აუცილებლობა. მოცემული პოზიცია საჩივრის ავტორს განემარტა ჯერ კიდევ დაზუსტებული სარჩელის წარდგენამდე. ადვოკატის განმარტებით, დისციპლინური წარმოების მასალების გამოთხოვა მათი სასარჩელო მოთხოვნისთვის არ იყო მნიშვნელოვანი, ხოლო საჭიროებიდან გამომდინარე დისკრიმინაციის ნაწილზე მომუშავე იურისტებს შეეძლოთ მსგავსი შუამდგომლობის დაყენება.

3.4.2 მხარეთა შორის გაიმიჯნა ერთი მხრივ სასარჩელო მოთხოვნების ის ნაწილი, რომელზეც შპს „იურიდიული ფირმა ---“-ი იღებდა პასუხისმგებლობას და მეორე მხრივ მოთხოვნები, რომელზეც იურისტი თ. გ. განაგრძობდა მუშაობას. ადვოკატი აცხადებს, რომ თ. გ.-სთან შეათანხმეს ძირითადი სტრატეგია, რომლის მიხედვითაც უნდა დაწერილიყო დაზუსტებული სარჩელი. შესაბამისად, ადვოკატი დ. კ. არ იზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მათ არ ჰქონდათ კომუნიკაცია დისკრიმინაციის ნაწილზე მომუშავე იურისტთან. ადვოკატის განცხადებით, კოლეგიალობის პრინციპიდან გამომდინარე მათ აღარ დაარედაქტირეს იურისტ თ. გ.-ს მიერ დიკრიმინაციის ნაწილზე მომზადებული სარჩელის ნაწილი.

ადვოკატის განმარტებით, იურისტი თ. გ. იყო საქმესთან დაკავშირებული ყველა მიმოწერის თანაადრესატი და უშუალოდ იყო ჩართული საერთო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ადვოკატების განმარტებით, 2018 წლის 20 მარტს ჩატარებულ სასამართლო სხდომაზე ადვოკატებს ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციები არ დაუფიქსირებიათ და კლიენტისთვის საზიანო შედეგი არ დამდგარა.

ადვოკატის განმარტებით, სამართალწარმოების განმავლობაში საჩივრის ავტორის ინიციატივით საქმეში მონაწილეობდნენ იურისტები ქ. ბ. და რ. ლ. ადვოკატების განცხადებით, მათ არ გამოუთქვამთ არანაირი პრეტენზია ახალი იურისტების საქმეში ჩართვის თაობაზე, თუმცა არერთგზის განუმარტეს კლიენტს, რომ მნიშვნელოვანი იყო ერთიანი სტრატეგიის ქონა, რათა თავიდან აეცილებინათ არაკოორდინირებული და წინააღმდეგობრივი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება.

3.4.3 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორს ეცნობა სასარჩელო მოთხოვნების ფორმულირებისა და მოპასუხეების ვინაობის შესახებ. საჩივრის ავტორის მოთხოვნით სარჩელში მოპასუხედ მიეთითა, როგორც ძირითადი საწარმო, ასევე მისი ქართული ფილიალი. მან რომ საჩივრის ავტორს დეტალურად მოახსენა იმ რისკის თაობაზე, რომელიც მსგავსი ფორმულირებით შეტანილ სარჩელს მოჰყვებოდა. საჩივრს ავტორმა იცოდა, რომ სასამართლო მაღალი ალბათობით მოითხოვდა მოპასუხეთა წრის დაზუსტებას. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორმა განაცხადა, რომ სხვადასხვა სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე მას სურდა, რომ საწყის ეტაპზე მოპასუხედ ყოფილიყო როგორც ძირითადი საწარმო, ასევე მისი ქართული ფილიალი, ხოლო შემდეგ სასამართლოს მითითების შემთხვევაში შესაბამისად დაკორექტირებულიყო მოპასუხეთა წრე. 2018 წლის 20 მარტს ჩატარებულ სასამართლოს სხდომაზე მოსამართლემ აღნიშნა, რომ მისთვის გაურკვეველი იყო სასარჩელო მოთხოვნის ადრესატი იყო მხოლოდ ძირითადი საწარმო, ფილიალი თუ ორივე ერთად. სასამართლომ მიუთითა, რომ წინააღმდეგობრივი პრაქტიკიდან გამომდინარე მისთვის არ იყო ნათელი რომელი უფრო გამართლებული იქნებოდა სამართლებრივად – მოპასუხედ ძირითადი საწარმოს თუ ფილიალის მითითება. მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ აღნიშნული საკითხი ღიად დაეტოვებინა და მოსარჩელე მხარეს მისცა შესაძლებლობა მომდევნო სხდომის თარიღამდე სასამართლოსთვის წერილობითი ფორმით წარედგინა თავისი პოზიცია. ადვოკატი განმარტავს, რომ პროცესის ჩანიშვნამდე ერთი თვით ადრე წერილობით მიმართეს სასამართლოს მოპასუხეების თაობაზე და მოახსენეს მათი პოზიცია. საჩივრის ავტორის პოზიცია ადვოკატების მხრიდან საქმის გაჭიანურების მცდელობასთან დაკავშირებით აზრს მოკლებულია, რადგან თავად მოსამართლემ 2018 წლის 20 მარტს გამართულ სხდომაზე აღნიშნა, რომ საქმის მოცულობიდან გამომდინარე მოსალოდნელი იყო არაერთი სხდომის ჩანიშვნა. ადვოკატების განცხადებით, 2018 წლის 20 მარტს სასამართლომ განიხილა მხარეთა მიერ წარდგენილი შუამდგომლობები და სხდომა 2 საათის განმავლობაში გაგრძელდა.

3.4.4 ყველა მოპასუხე მხარეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით ჩაბარდა დაზუსტებული სარჩელი. აღნიშნული დადასტურდა 2018 წლის 20 მარტს გამართულ სასამართლოს სხდომაზე, სადაც მოსამართლემ აღნიშნა დადგენილ ვადაში ძირითადი საწარმოსთვის დაზუსტებული სარჩელისა და უწყების ჩაბარების შესახებ. ადვოკატი არ იზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას შესაგებლის წარუდგენლობის სავარაუდო მოტივებთან დაკავშირებით, რადგან ამ მხრივ კლიენტის პოზიცია დაუსაბუთებელია.

3.4.5 ადვოკატის განმარტებით, დაზუსტებული სარჩელზე შესაგებლების მიღების შემდეგ საჩივრის ავტორთან შედგა არაერთი ხანგრძლივი შეხვედრა, რომლის ფარგლებში დეტალურად განიხილეს მოპასუხე მხარეების მიერ შესაგებელში გაჟღერებული თითოეული არგუმენტი, ფაქტობრივი გარემოება თუ სამართლებრივი შეფასება. ადვოკატმა საჩივრის ავტორს გააცნო ის ძირითადი პოზიციები, რომლითაც აპირებდა მოპასუხეების მოსაზრებათა და მტკიცებულებათა გაბათილებას. შესაბამისად, ადვოკატი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხეთა მხრიდან შესაგებლის წარდგენის შემდეგ ადვოკატმა მას არ გაუწია კვალიფიციური სამართლებრივი კონსულტაცია.

ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის მიერ შეთავაზებული დოკუმენტაციის სასამართლოში წარდგენა არ აქარწყლებდა მოპასუხეთა პოზიციას, უფრო მეტიც აღნიშნული დოკუმენტების წარდგენა გამოიწვევდა საქმის უსარგებლო დოკუმენტებით გადატვირთვას, რასაც საბოლოო ჯამში შესაძლოა არ განეპირობებინა საჩივრის ავტორისთვის სასურველი შედეგის დადგომა. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორმა მათთან შეუთანხმებლად სასამართლოში წარადგინა შუამდგომლობა მტკიცებულებათა დართვის თაობაზე, რამაც სასამართლოს მხრიდან დამატებითი კითხვები გააჩინა და არ იქონია დადებითი გავლენა მისი საქმის გადაწყვეტაზე.

3.4.6 დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე სასამართლოს წინაშე შუამდგომლობის დაყენება არ იქნებოდა წარმატებული, რადგან მოპასუხეთა წრის საკითხი კვლავ გაურკვეველი იყო. სასამართლომ მკაფიოდ დააფიქსირა თავისი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხეთა წრის საბოლოოდ ჩამოყალიბების შემდეგ საჩივრის ავტორს არ ერთმეოდა შესაძლებლობა დაეყენებინა ყველა ის შუამდგომლობა, რასაც იგი რელევანტურად მიიჩნევდა. ადვოკატი განმარტავს, რომ საჩივრის ავტორის მხრიდან ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეესაბამება სიმართლეს, რასაც ადასტურებს 2018 წლის 29 მაისის სხდომის ოქმი, სადაც მოსამართლე ნათლად აცხადებს, რომ მოპასუხეთა წრის დაზუსტებამდე არ განიხილავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხს.

ძირითადი საწარმოს და ფილიალის მოპასუხეებად მითითება კვლავ გაურკვეველს ხდიდა სასარჩელო მოთხოვნას. ადვოკატების პოზიციას ადასტურებს 2018 წლის 29 მაისის სხდომის ოქმი. ადვოკატების განცხადებით, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ მოპასუხეთა გრაფაში ფრჩხილების მოხსნას და „და“ კავშირის ჩამატებას, თუმცა საჩივრის ავტორის თხოვნით კვლავ უცვლელი დატოვეს მოპასუხეთა წრე. 2018 წლის 29 მაისის სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სასამართლოს მოპასუხეთა დაზუსტების საკითხზე ჯერ არ უმსჯელია.

3.4.7 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორმა თავად გამოთქვა სურვილი დავის მედიაციისთვის გადაცემის შესახებ. საჩივრის ავტორს განემარტა, რომ არსებული პრაქტიკიდან და მოპასუხეთა კატეგორიული პოზიციიდან გამომდინარე მედიაციის პროცესი მხოლოდ გააჭიანურებდა საქმის განხილვას და არ იქნებოდა ეფექტიანი. მიუხედავად ამისა, ადვოკატმა კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად სასამართლოში წარადგინა შუამდგომლობა დავის მედიაციისთვის გადაცემის შესახებ.

ადვოკატ დ. კ.-ის განმარტებით, მედიატორ ს. ჩ.-სთან ნათელმირონობა აკავშირებს და ეს ინფორმაცია მედიაციის პირველივე სხდომაზე თავად მედიატორის მხრიდან გაჟღერდა. მოპასუხის წარმომადგენელ ს. ბ.-ს ჯერ კიდევ დაზუსტებული სარჩელის წარდგენამდე ეცნობა, რომ როგორც კოლეგები ს. ჩ. და ადვოკატი დ. კ. ერთმანეთს იცნობდნენ. ადვოკატი დ. კ. არ

ეთანხმება საჩივრის ავტორის პოზიციას, რომ ადვოკატები მედიატორთან შეთანხმებით მოქმედებდნენ მის წინააღმდეგ. საჩივრის ავტორის აღნიშნული მოსაზრება დაუსაბუთებელია და არ არის გამყარებული რაიმე მტკიცებულებით.

ადვოკატი განმარტავს, რომ ის ჩართული იყო მხოლოდ მედიაციის გაცნობით სესიაში, სადაც ასევე მონაწილეობდნენ მოპასუხე მხარეების წარმომადგენლები ს. ს. და ს. ბ. საჩივრის ავტორმა უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა, როგორც მედიატორ ს. ჩ.-ს მიმართ, ასევე მედიაციის მსვლელობაზე. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორს არაერთხელ განემარტა მედიაციის პროცესის თავისებურებები, თუმცა იგი მაინც განსხვავებულად აღიქვამდა მედიაციის პროცესს და შესაბამისად განსხვავებული მოლოდინები ჰქონდა. ადვოკატი განმარტავს, რომ საჩივრის ავტორი მასთან შეუთანხმებლად ახორციელებდა საპროცესო მოქმედებებს. აქედან გამომდინარე, ადვოკატმა საჩივრის ავტორთან შეთანხმებით უარი თქვა მედიაციის პროცესში წარმომადგენლობის გაგრძელებაზე და მედიაციის დარჩენილ ეტაპებზე საჩივრის ავტორის ინტერესებს იცავდა იურისტი თ. გ.

3.4.8 მედიაციის პირველივე სხდომაზე მედიატორმა დაასახელა დამსწრე პირების ვინაობა და შეამოწმა მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. მედიაციის სპეციფიკიდან და დავის მორიგებით დასრულების მიზნიდან გამომდინარე ადვოკატმა მიზანშეწონილად მიიჩნია მედიაციის შეხვედრა გაგრძელებულიყო თუნდაც ერთ–ერთი სავარაუდო მოპასუხის არყოფნის პირობებში. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორსა და მედიატორ ს. ჩ.-ს შორის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დამყარდა აქტიური კომუნიკაცია, რომელიც ემსახურებოდა დაპირისპირებულ მხარეთა შორის შეთავაზებების წარდგენას და დავის კომპრომისულად დასრულებას. ადვოკატისთვის დაუსაბუთებელი და მიუღებელია საჩივრის ავტორის პოზიცია იმ საკითხთან მიმართებით თითქოსდა ადვოკატები მედიატორთან შეთანხმებით მოქმედებდნენ კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

3.4.9 საჩივრის ავტორს განემარტა, რომ გადაწყვეტილებას მორიგების კონკრეტულ პირობებთან დაკავშირებით იღებდა მხოლოდ თავად. საჩივრის ავტორი სრულყოფილად იყო ინფორმირებული სარჩელის პერსპექტივებთან დაკავშირებით და ამომწურავად იცნობდა როგორც საქმის პრობლემურ მომენტებს ისე დავის წარმატებით დასრულების ალბათობის ხარისხსაც. შესაბამისად, ადვოკატისთვის გაუგებარია საჩივრის ავტორის პოზიცია იმ საკითხზე, თითქოს ადვოკატების მხრიდან სასარჩელო რისკების ოპტმისტურად შეფასებამ გამოიწვია მედიაციის პროცესის უშედეგოდ დასრულება. ადვოკატი განმარტავს, რომ მედიაციის გაცნობითი შეხვედრის შემდეგ მას პროცესში მონაწილეობა აღარ მიუღიათ, შესაბამისად, მისთვის უცნობია რა თანხაზე ჩამოყალიბდა საჩივრის ავტორი და იყო თუ არა ამ უკანასკნელის მიერ თანხის ოდენობასთან დაკავშირებით დაყენებული მოთხოვნა მედიაციის პროცესის წარუმატებლად დასრულების მიზეზი.

3.4.10 მოსამართლე ა. კ.-ის გადაწყვეტილებით საქმე მთავარი სხდომის ჩანიშვნისთვის სათანადოდ იყო მომზადებული. მოსამართლემ განმარტა, რომ მხარეებს ჰქონდათ შესაძლებლობა მედიაციის ფარგლებში მოეგვარებინათ დავა; ასევე საკმარისი დრო ჰქონდათ საიმისოდ, რომ მთავარი სხდომის დანიშვნამდე წარმოედგინათ მტკიცებულებები. ადვოკატი განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით განჩინება მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ კერძო საჩივრით არ საჩივრდება. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატისთვის საჩივრის ავტორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ მან არ

გააპროტესტა მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მთავარი სხდომის დანიშვნის თაობაზე დაუსაბუთებელია.

3.4.11 დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შუამდგომლობა ვერ იქნებოდა წარმატებული, ვინაიდან ჯერ მოპასუხეთა წრე არ იყო გარკვეული, რის შესახებაც სასამართლომ პირდაპირ დააფიქსირა საკუთარი მოსაზრება. 2018 წლის 29 მაისის სხდომის ოქმიდან ნათლად ირკვევა მოსამართლის პოზიცია, რომ იგი არ განიხილავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების საკითხს მანამ, სანამ არ დაზუსტდება მოპასუხეთა წრე. ამავე სხდომაზე აღნიშნა მოსამართლემ, ის, რაც ადვოკატს არაერთხელ ჰქონდა კლიენტისთვის განმარტებული, კერძოდ ძირითადი საწარმოსა და ფილიალის ერთდროულად მოპასუხეებად დატოვება (რაც მოითხოვა ვ. პ.-მა) კვლავ გაურკვეველს ტოვებდა სასარჩელო მოთხოვნას.

ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტთან არ შეთანხმებულა, რომ სხდომაზე ძირითად საწარმოს არ ამოიღებდნენ ან მოპასუხეებს არ შეცვლიდნენ. ვ. პ.-ს განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა მოპასუხეთა წრეზე. სასამართლოს მიერ მოსაზრების დაფიქსირების შემდეგ, ადვოკატმა დეტალურად განიხილა საკითხი შეხვედრისას და კლიენტს გაუგზავნა წერილობითი მოსაზრება. რამდენიმე დღის შემდეგ საჩივრის ავტორმა განაცხადა, რომ საქმეში ჩართული დანარჩენი ადვოკატები არ იზიარებდნენ დ. კ.-ის პოზიციას, რის გამოც მან ადვოკატს შესთავაზა, დაზუსტების ნაცვლად, ისევ იმავე ფორმულირების დატოვება, მცირეოდენი ტექნიკური კორექტირებით (,,ფრჩხილების მოხსნითა და ,,და“ კავშირის ჩამატებით), რის შედეგადაც როგორც ძირითადი საწარმო, ასევე ფილიალი დარჩებოდა საქმის წარმოებაში. ადვოკატმა საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ ეს ისევ გაურკვეველს დატოვებდა მოპასუხეთა წრეს და მას მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება, მისცემდა თუ არა ადვოკატს სშუალებას, საკუთარი შეხედულებით დაეზუსტებინა მოთხოვნები.

ადვოკატის განმარტებით, 2018 წლის 02 მაისს მათ დაუკავშირდა --- –ის ადვოკატი შ. თ., რომელმაც განაცხადა, რომ ვ. პ.-ს გადაწყვეტილებით იგი დაიცავდა საჩივრის ავტორის ინტერესებს მიმდინარე სამოქალაქო საქმეზე. ადვოკატების განცხადებით, საჩივრის ავტორის აღნიშნული გადაწყვეტილებით ადვოკატ-კლიენტს შორის არსებული ნდობა დაიკარგა, შეიქმნა არაკოორდინირებული მუშაობის საფრთხე, რაც საბოლოოდ ნეგატიურად აისახებოდა საჩივრის ავტორის ინტერესებზე. ადვოკატების განმარტებით, კლიენტი არ რჩებოდა წარმომადგენლის გარეშე, რადგან 4 ადვოკატი დაიცავდა მის ინტერესებს სასამართლოში.

ადვოკატი აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორი მასთან კომუნიკაციის ბოლო ეტაპამდე კმაყოფილებას გამოხატავდა. ადვოკატი განმარტავს, რომ საჩივრის ავტორის არაერთი თხოვნის მიუხედავად არ გააგრძელა კლიენტის წარმომადგენლობა, რადგან ადვოკატ–კლიენტს შორის ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი - ნდობა დაიკარგა.

3.4.12 სასამართლოს სხდომებზე ადვოკატი მოქმედებდა მხოლოდ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. შრომითსამართლებრივ დავებში, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, როდესაც პირი ითხოვს სამსახურში აღდგენას და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას რელევანტურია კითხვა – ხომ არ დასაქმდა მოსარჩელე მხარე ახალ სამსახურში და იღებს თუ არა იგი ანაზღაურებას. აღნიშნული საკითხი სხდომაზე გააჟღერა მოპასუხე მხარემ და ანალოგიური კითხვით მიმართა მოსამართლემ საჩივრის ავტორს. ადვოკატი განმარტავს, რომ კანონმდებლობის ფარგლებში მოსამართლის კითხვას გასცა მაქსიმალურად ზოგადი პასუხი და სხდომაზე განახორციელა კვალიფიციური წარმომადგენლობა.

3.4.13 2018 წლის 29 მაისის სხდომაზე თავად მოსამართლე დაინტერესდა მედიაციის წარუმატებლად დასრულების მიზეზით. ადვოკატი განმარტავს, რომ იურისტი თ. გ. იყო მედიაციის პროცესში ჩართული, შესაბამისად, იგი იყო უფლებამამოსილი დამოუკიდებლად მიეღო გადაწყვეტილება რა ტიპის კითხვაზე მიაჩნდა მიზანშეწონილად პასუხის გაცემა და ან რა ინფორმაციის გამჟღავნება სურდა მოსამართლისთვის. აქედან გამომდინარე, ადვოკატი არ იზიარებენ საჩივრის ავტორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, თითქოსდა ადვოკატ დ. კ.-ს უნდა გაეპროტესტებინა მოპასუხე მხარის მიერ სასამართლოში ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებული კითხვების დასმა.

3.4.14 ვ. პ.-ს ინიციატივით, საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, როდესაც მომდევნო სხდომამდე დარჩენილი იყო საკმაოდ შეზღუდული დრო და მუშაობდნენ შემჭიდროებულ ვადებში მოპასუხეთა წრის დაზუსტებაზე წერილობითი მოსაზრებების წარსადგენად, ჩაერთნენ სხვა იურისტები. ადვოკატის შეფასებით იქმნებოდა საფრთხე შეუთანხმებელი წარმომადგენლობის, რაც საბოლოო ჯამში ნეგატიურ ზეგავლენას იქონიებდა კლიენტის ინტერესებზე და ადასტურებდა კლიენტის უნდობლობას ადვოკატ დ. კ.-ისადმი. რაც შეეხება გადაბარებას, ვ. პ.-ს საქმის მასალები ელექტრონულად იყო ხელმისაწვდომი სასამართლოს ვებ–გვერდზე და საჩივრის ავტორისთვის ეს ინფორმაცია ცნობილი გახლდათ. ადვოკატი განმარტავს, რომ ის ფლობდა მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც ატვირთული იყო სასამართლოს ვებ–გვერდზე და რომელიც გაგზავნილი ჰქონდა კლიენტისთვის. შესაბამისად, ადვოკატი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმ საკითხზე, თითქოს ადვოკატმა სრულყოფილად არ მიაწოდა საქმის მასალები საქმეში დამატებით ჩართულ სხვა იურისტებს.

3.4.15 ვ. პ.-თან იურიდიული მომსახურების ურთიერთობა დასრულდა 2018 წლის 3 მაისს - სხდომამდე 26 დღით ადრე და არა სასამართლო პროცესამდე ერთი კვირით ადრე, როგორც საჩივრის ავტორი აცხადებს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ წერილობით პოზიციაში.

3.4.16 კომპანიის წესდების გადამოწმებასთან დაკავშირებით, ადვოკატის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება შეთანხმებული იყო კლიენტთან. საჩივრის ავტორი დეტალურ ინფორმაციას ფლობდა საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე და ინტენსიურად იყო ჩართული თითოეული მტკიცებულების წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

3.4.17 ადვოკატი უარყოფს, რომ დაეთანხმა მოსამართლეს მოპასუხეების დაზუსტებაზე მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ ჰქონდათ შეთანხმება, რომ მოპასუხე ძირითადი საწარმოს ამოღება არ მოხდებოდა.

3.5 ადვოკატ დ. კ.-ის განმარტებით, საჩივრის ავტორის პრეტენზიები დაუსაბუთებელი და ობიექტურ რეალობას მოკლებულია. საჩივარში ასახული პრეტენზიები ეხება საადვოკატო მომსახურების ეფექტიანობას, რომლის შეფასებაც სცდება ეთიკის კომისიის კომპეტენციის ფარგლებს.

3.6 ადვოკატის განცხადებით, მის მიერ სასამართლოში საჩივრის ავტორისთვის გაწეული წარმომადგენლობა იყო კვალიფიციური, კეთილსინდისიერი და სრულად შეესაბამებოდა, როგორც ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით, ისე ეთიკის კოდექსით დადგენილ სტანდარტებს. ადვოკატის მხრიდან შესრულებულია ყველა საპროცესო მოქმედება, რომელიც კლიენტის ინტერესების ჯეროვან დაცვას ისახავდა მიზნად. სამოქმედო ტაქტიკა და საქმის

წარმოების სტრატეგია მკაცრად შეთანხმებული იყო საჩივრის ავტორთან, რასაც საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილი არაერთი მასალა ადასტურებს.

3.7 ადვოკატი ეთანხმება კოლეგის, თ. ც.-ის მიერ საპროცესო კოლეგიის 2018 წლის 01 ნოემბრის სხდომაზე გაკეთებულ განმარტებას ვ. პ.-ს მიერ სასამართლოში წარდგენილი იმ შუამდგომლობის ეთიკის კომისიაში გამოყენების საფუძველზე, რომელიც ადვოკატმა მოიპოვა კლიენტთან ურთიერთობის დასრულების შემდეგ სასამართლოს საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამით. შუამდგომლობის ეთიკის კომისიაში წარმოდგენა უკავშირდებოდა მისი და ადვოკატ თ. ც.-ის მხრიდან კლიენტის კვალიფიციურად წარმომადგენლობის მტკიცებას დისციპლინური წარმოებისას და არ ჰქონდათ რაიმე სახის ნორმატიური საფუძველი, რაც შეზღუდავდა მათ ამდაგვარ ქცევას. კლიენტთან ელ. მიმოწერით დგინდება, რომ მასთან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგ ვ. პ. კითხვებს უსვამდა ადვოკატებს მათ მიერ გაწეულ მომსახურებაზე. შესაბამისად, ადვოკატი თვალს ადევნებდა საქმის მასალებს საქმისწარმოების პროგრამაში, რომ შეძლებოდა მისთვის დასაბუთებული პასუხის გაცემა. შესრულებული სამართლებრივი მოქმედებები თავიდან გაანალიზეს და ამ ფარგლებში გადაამოწმეს საქმის მასალები. ვ. პ.-ს 2018 წლის 25 მაისით დათარიღებული განცხადება ნახეს, როდესაც ვ. პ.-თან მისი კითხვებიდან გამომდინარე აქტიურ მიმოწერაში იყვნენ.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი დ. კ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №----/ სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი.

4.2 ვ. პ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 26 ივნისს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2016-2018 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ დ. კ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საჩივრის ავტორის შემდეგი პრეტენზიების: ადვოკატმა მოპასუხე მხარისგან არ გამოითხოვა საქმისთვის არსებითად მნიშვნელოვანი დოკუმენტები; ადვოკატმა სარჩელში არასწორად მიუთითა მოპასუხე მხარეები, რის გამოც მოსამართლემ პირველივე სხდომაზე მოითხოვა მოპასუხეთა დაზუსტება; ადვოკატმა არ მიიჩნია საჭიროდ დაზუსტებული სარჩელის ინგლისურ ენაზე თარგმნა და მხოლოდ ქართულ ენაზე დაბეჭდილი სარჩელი გაიგზავნა მოპასუხე კომპანიასთან ლონდონში; ადვოკატმა არ გააპროტესტა ძირითადი საწარმოს მხრიდან შესაგებლის წარმოუდგენლობის საკითხი სასამართლოში; ადვოკატმა მედიაციის

პროცესში იმოქმედა არაკეთილსინდისიერად და მოსარჩელე მხარის ინტერესების საწინააღმდეგოდ; ადვოკატმა მედიაციის გაცნობით შეხვედრაზე მოპასუხე მხარეებს არ მოსთხოვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთის წარდგენა; ადვოკატმა სასამართლოს წინაშე არ იშუამდგომლა საქმის მთავარი სხდომიდან მოსამზადებელ სხდომაზე დაბრუნების თაობაზე; ადვოკატმა მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის გამო სასამართლოს წინაშე არ დააყენა შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე; ადვოკატი დაეთანხმა მოსამართლეს მოპასუხეთა დაზუსტების საკითხში, მიუხედავად იმისა, რომ საჩივრის ავტორთან წინასწარი კონსულტაციით მოპასუხე მხარედ სარჩელში მითითებული უნდა ყოფილიყო, როგორც ძირითადი საწარმო ასევე მისი ქართული ფილიალი; ადვოკატმა არ გააპროტესტა მოპასუხე მხარის მხრიდან საჩივრის ავტორის მისამართით სასამართლო პროცესზე საქმესთან შემხებლობაში არმქონე ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებული კითხვების დასმა; ადვოკატმა სასამართლო პროცესზე არ გააპროტესტა მოპასუხე მხარის მხრიდან მედიაციის პროცესში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების მცდელობა; ადვოკატმა არ გადაამოწმა მოპასუხე კომპანიის წესდება, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციაა, შეფასებისას ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ დ. კ.-ის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის („აპეკ“) შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ა) აპეკ-ის მე-8.5 მუხლი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

ბ) აპეკ-ის მე-8.2 მუხლი: ,,ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.”

გ) აპეკ-ის მე-8.6 მუხლი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის ... შესახებ.”

6.2 ადვოკატის მიერ მომსახურების კეთილსინდისიერად გაწევის ვალდებულება არის სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის ერთ-ერთი ძირეული ნორმატიული პრინციპის - კეთილსინდისიერების ვალდებულების (სსკ 8.3 მუხლი), რომელიც ამავდროულად სუბიექტური შემადგენელის მატარებელია, კერძო გამოხატულება. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, სამართალში არსებობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა კეთილსინდისიერების პრეზუმფცია (სუსგ №ას-589-2019 პარ. 28, შეადარეთ ასევე სუსგ: ას-899-1185-09, ას-1252-1181-2012; ას-23-23-2016). ეთიკის კომისიის აზრით აღნიშნული პრეზუმფცია სრულად გამოსაყენებელია ადვოკატის პროფესიულ საქმიანობის შეფასებისას: „საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად ასრულებს ხელშეკრულებით და პროფესიული წესებით დაკისრებულ მოვალეობებს, ეს განსაკუთრებით ნათელია იმ როლის გათვალისწინებით, რომელიც ადვოკატს და ადვოკატის პროფესიას აქვს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.“ (N089/17, პარ. 6.3.8).

6.3 ,,ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც

წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს.“ (ეთიკის კომისიის 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 062/15, პარ. 5.8).

6.4 შედეგად, იმ ფაქტებზე მითითება და მტკიცებულებების წარმოდგენა, რომ ადვოკატი არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა, თუნდაც საპროცესო ეტაპისთვის საჭირო დასაბუთებული ვარაუდის შესაქმნელად, განმცხადებელზეა. კეთილსინდისიერად მოქმედების ვარაუდი ქარწყლდება, თუ წარმოიშვება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ადვოკატი არ იყო დამოუკიდებელი, ჰქონდა ინტერესთა კონფილქტი ან არსებობდა ამ კონფლიქტის წარმოშობის არსებითი საფრთხე, და სხვა შემთხვევაში, როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ადვოკატის მიერ დამოუკიდებელი იურიდიული რჩევის გაცემის შესაძლებლობა.

6.5 ადვოკატების მიერ კვალიფიციური იურიდიული მომსახურების ფარგლებში განხორციელებული თითოეული მოქმედება წარმოადგენს სამართლებრივი სტრატეგიის ნაწილს. ის დაკავშირებულია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის შედეგთან, რომელიც ეფუძნება მის პროფესიულ გამოცდილებას და კვალიფიკაციას. გაწეული იურიდიული მომსახურების სრულფასოვანი შეფასებისთვის საჭირო იქნებოდა ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიერ საქმის წარმოების მიზნით განხორციელებული თითოეული მოქმედების ხარისხის შეფასება, რისი უფლებამოსილებაც ეთიკის კომისიას არ გააჩნია. ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობიდან გამომდინარე ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. კოლეგია ვერ მიუთითებს ადვოკატს რომელი საპროცესო მოქმედების განხორციელება იქნებოდა კლიენტის ინტერესებისთვის უკეთესი, როგორ შეიძლებოდა უკეთ დასაბუთებულიყო საპროცესო დოკუმენტი ან სამართლებრივი დასკვნა, და რა სავარაუდო გავლენას იქონიებდა აღნიშნული საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე. ეთიკის კომისია ვერ შევა სასამართლოს კომპეტენციაში, რომელსაც შეუძლია წარმომადგენლობით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადვოკატისთვის დაკისრება (სსკ 712, 719 და სხვა მუხლები).

6.6 თუმცა პროფესიული ეთიკა ავალდებულებს ადვოკატს საქმის წარმოების მიზნით შემუშავებული სტრატეგია და საპროცესო მოქმედებები შეუთანხმოს კლიენტს, რაც უკავშირდება საქმის მსვლელობის მნიშვნელოვან დეტალებსა და მოსალოდნელ შედეგებზე, კლიენტის ინფორმირების ვალდებულებას. არაინფორმირებული კლიენტი ვერ მიიღებს გათვითცნობიერებულ გადაწყვეტილებას მის საქმესთან დაკავშირებით, შედეგად ის ვერ იქნება ეფექტიანად ჩართული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №074/10 კლიენტისათვის საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ,,ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმისწარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები. კლიენტს საშუალება უნდა ჰქონდეს თავადაც დაუკავშირდეს ადვოკატს და ადვოკატი არ უნდა უზღუდავდეს კლიენტს

მასთან დაკავშირების შესაძლებლობას საქმის მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე ინფორმაციის მისაღებად.“

6.7 შესაბამისად, საპროცესო კოლეგია ვერ შეაფასებს ადვოკატ დ. კ.-ის მიერ გაწეული იურიდიული მომსახურების ხარისხს, რაზეც დაყენებული პრეტენზიების შინაარსიდან გამომდინარე დაობს VBAT-ის ყოფილი კლიენტი, ვ. პ. . ეთიკის კომისიამ უნდა გაარკვიოს ფლობდა თუ არა კლიენტი ადვოკატის მიერ განხორციელებული სამართლებრივი ქმედებების თაობაზე სრულყოფილ ინფორმაციას და ადვოკატი დ. კ. რამდენად მოქმედებდა კლიენტის მითითებების გათვალისწინებით დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით.

6.8 2016 წლის 13 ოქტომბერს იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით მხარეები შეთანხმდნენ ინფორმაციის გაცვლის ფორმაზე, მხარეებს საქმეზე კომუნიკაცია ექნებოდათ ელექტრონული ფოსტით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი სპეციალურად მოითხოვდა კომუნიკაციის სხვა საშუალების გამოყენებას. ეთიკის კომისიამ ადვოკატის მხრიდან კლიენტის ინფორმირებისა და მასთან შეთანხმებულად მოქმედების პროფესიული სტანდარტის დაცულობის შემოწმებისთვის შეისწავლა მხარეთა პოზიციები, მოწმის ვ. მ.-ის განმარტებები და საქმეში მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი ელ. ფოსტის მიმოწერები. ვ. პ.-სა და ადვოკატ დ. კ.-ს შორის საქმეზე მიმოწერა მიმდინარეობდა შემდეგი ელ. ფოსტებით: -----; -----, საქმეს ასევე აწარმოებდა --- -ის სხვა ადვოკატი, თ. ც., რომელიც სრულად იყო ჩართული კლიენტთან ურთიერთობაში და რიგ შემთხვევებში ადვოკატ დ. კ.-თან შეთანხმებით ცალკე კომუნიკაცია ჰქონდა კლიენტთან, ვ. პ.-თან.

6.9 საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატის მხრიდან დასაქმების სააგენტო „---“ და „---“ საქართველოს თბილისის ფილიალს შორის დადებული ხელშეკრულების და დისციპლინური წარმოების მასალების გამოთხოვაზე უარის თქმით ადვოკატმა დ. კ.-მა მისი საქმე არაკვალიფიციურად აწარმოა. აღნიშნულზე ადვოკატმა განმარტა, რომ მან მიზანშეწონილად არ მიიჩნია დასაქმების სააგენტო „---“ და „.---ის“ თბილისის ფილიალს შორის დადებული ხელშეკრულების დაზუსტებული სარჩელით გამოთხოვა, რადგან მასში არსებობდა კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო ინფორმაციის აღმოჩენის შესაძლებლობა. დისციპლინური წარმოების მასალების გამოთხოვის თაობაზე ადვოკატი განმარტავს, რომ მათი სასარჩელო მოთხოვნებისთვის მოცემული საბუთების საქმისთვის დართვის აუცილებლობა არ არსებობდა, ხოლო საჭიროებიდან გამომდინარე დისკრიმინაციის ნაწილზე მომუშავე ადვოკატებს - თ. გ.-ს და რ. ლ.-ს შეეძლოთ დოკუმენტების გამოთხოვა. 2016 წლის 13 ივლისს საჩივრის ავტორის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილი სარჩელის მე-12 გვერდი ადასტურებს საჩივრის ავტორის მხრიდან ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობის დაყენებას. კოლეგიის მიერ გამოკვლეული 2018 წლის 25 თებერვლის ელ. ფოსტის მიმოწერით ირკვევა, რომ საჩივრის ავტორმა ადვოკატ დ. კ.-ს მიმართა მოპასუხისგან დოკუმენტების გამოთხოვის თაობაზე. ვ. პ.-ს მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საჩივრით და ასევე ზეპირი განხილვის დროს მიცემული განმარტებით დასტურდება, რომ ადვოკატმა კლიენტს აცნობა ყველა იმ მიზეზის შესახებ, რის გამოც არ მიაჩნდათ საჭიროდ დაზუსტებულ სარჩელში მოპასუხე მხარისგან მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობის დაყენება, კერძოდ, ადვოკატმა კლიენტს წერილობით განუმარტა შემდეგი: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოწინააღმდეგისათვის ისეთი „ღია კითხვებით“ მიმართვა, სადაც არ ვიცით რა პასუხს მივიღებთ მაღალი რისკების შემცველია.“ საპროცესო კოლეგიის შეფასებით, კლიენტი ინფორმირებული იყო თუ რატომ არ გამოითხოვა ადვოკატმა დოკუმენტაცია. იმ შემთხვევაში,

თუ კლიენტი მაინც დააყენებდა ამ მოთხოვნას, მაშინ ადვოკატს ან უნდა შეესრულებინა კლიენტის მითითება, თუნდაც პროცესისთვის შესაძლო ზიანის მიყენების რისკად, ან პოზიციების შეუთანხმებლობის გამო ჩამოშორებოდა საქმეს. ადვოკატის ზემოაღნიშნული განმარტების შედეგად კლიენტის განმეორებითი მოთხოვნის დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულება საქმეში არ არის წარმოდგენილი. იქიდან გამომდინარე, რომ თავად საჩივრის ავტორი ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი წერილობითი განმარტებით ადასტურებს ადვოკატების მხრიდან შუამდგომლობის დაუყენებლობის მიზეზის განმარტების ფაქტს, ასევე იგივე დგინდება 2018 წლის 25 თებერვლის მიმოწერით, კოლეგიის შეფასებით, ადვოკატის მხრიდან კლიენტის ინფორმირების ვალდებულება ამ ნაწილში დაცულია.

6.10 საჩივრის ავტორი ადვოკატის მხრიდან სარჩელში მოპასუხე მხარეების არასწორად მითითებას ხდის სადავოდ, რის გამოც მოსამართლემ პირველივე სხდომაზე მოითხოვა მოპასუხეთა წრის დაზუსტება და ამას არაკვალიფიციურ წარმომადგენლობად განიხილავს. კოლეგია დაეყრდნო საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილ 2018 წლის 01 მაისის ელ.ფოსტის მიმოწერას, რომლითაც დგინდება საჩივრის ავტორის სურვილი მოპასუხე მხარედ სარჩელში მითითებულიყო როგორც ძირითადი საწარმო, ასევე მისი ქართული ფილიალი; ადვოკატი დ. კ. საჩივრის ავტორს წერს: „თუ თვლი, რომ მაინც ორივე დავტოვოთ ჩვენს აზრს ეწინააღმდეგება, მაგრამ მიუღებელს ვერაფერს ვხედავ.“ ამავე ელ. ფოსტის მიმოწერით საჩივრის ავტორს დეტალურად განემარტა ის რისკები, რომელიც მსგავსი ფორმულირებით შეტანილ სარჩელს მოყვებოდა. 2018 წლის 11 აპრილის ელ. ფოსტის მიმოწერით დგინდება, რომ სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შესახებ ადვოკატების მიერ მომზადებულ განცხადებას კლიენტი გაეცნო; 2018 წლის 27 ივნისის ელ.ფოსტის მიმოწერიდან ნათლად იკვეთება საჩივრის ავტორის პრინციპული დამოკიდებულება მოპასუხე მხარედ სარჩელში მითითებულიყო როგორც ძირითადი საწარმო, ასევე მისი ქართული ფილიალი. ამავე ელ.ფოსტის მიმოწერიდან ირკვევა, რომ პირველი სასამართლო ზეპირი მოსმენის შემდეგ ადვოკატი კლიენტს გაესაუბრა და გააცნო დამკვიდრებული უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა; გაირკვა რომ ადვოკატ დ. კ.-ს და პროფკავშირების იურისტს განსხვავებული პოზიციები ჰქონდათ მოპასუხეთა წრესთან დაკავშირებით, რასაც საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილი 2018 წლის 27 აპრილის ელ.ფოსტის მიმოწერა ადასტურებს. ვინაიდან ადვოკატმა დ. კ.-მა კლიენტს დეტალურად განუმარტა ის რისკი, რომელიც მსგავსი ფორმულირებით მითითებული მოპასუხეებით შეტანილ სარჩელს მოყვებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა საჩივრის ავტორის პრინციპული დამოკიდებულება იყო მოპასუხე მხარედ როგორც ძირითადი საწარმოს, ასევე მისი ქართული ფილიალის მითითება. კლიენტის სურვილის გათვალისწინებით ადვოკატმა მოპასუხეთა წრე უცვლელი დატოვა და მხოლოდ მცირედი კორექტირება შეიტანა (ფრჩხილების მოხსნა და „და“ კავშირის ჩამატება) სარჩელში. იგივე დაადასტურა 2018 წლის 9 ოქტომბერს საპროცესო კოლეგიის მიერ გამოკითხულმა მოწმემ, ვ. მ.-მა. კოლეგიას 2018 წლის 01 მაისის, 2018 წლის 11 აპრილის, 2018 წლის 27 აპრილის და 2018 წლის 27 ივნისის ელ. ფოსტის მიმოწერებზე დაყრდნობით მიაჩნია, რომ ადვოკატმა გააცნო კლიენტს ის რისკი, რაც მოპასუხე მხარედ ძირითადი საწარმოს და მისი ქართული ფილიალის მითითებას მოყვებოდა და შემდეგ იმოქმედა კლიენტის მითითებით, შესაბამისად ამ ნაწილში ადვოკატის მხრიდან კლიენტის ინფორმირების და ასევე, მისი მითითებების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება შესრულებულია.

6.11 საჩივრის ავტორი ასევე სადავოდ ხდის უცხოელ მოპასუხესთან სარჩელის ქართულ ენაზე გაგზავნას და უთითებს, რომ ადვოკატის აღნიშნულმა მოქმედებამ გამოიწვია მოპასუხის მხრიდან შესაგებლის წარმოუდგენლობა, პროცესზე გამოუცხადებლობა. ადვოკატი არ ეთანხმება ყოფილ კლიენტს და უთითებს, რომ ყველა მოპასუხე მხარეს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით ჩაბარდა სარჩელი, რაც 2018 წლის 20 მარტის სხდომაზე დადასტურდა. ვ. პ.-ს 2017 წლის 02 თებერვალს ადვოკატმა თ. ც.-მა ელ.ფოსტით აცნობა, რომ უმჯობესი იქნებოდა სარჩელის ერთი ასლი დიდ ბრიტანეთშიც გაეგზავნათ --- -ს ძირითად მისამართზე მიუხედავად იმისა, რომ ფილიალს ჩაბარებული ჰქონდა და კოდექსის მიზნებისთვის ეს ჩაბარებად ითვლებოდა. ვ. პ.-მა წერილს უპასუხა: „მე თანახმა ვარ გადავაგზავნოთ სარჩელის ერთი ასლი ორიგინალ ენაზე. თარგმანზე თვითონ იზრუნონ.“ საქმეში წარმოდგენილია 2017 წლის 20 იანვრის სარჩელის მოპასუხისთვის 2017 წლის 17 თებერვალს ჩაბარების დასტური, რომლითაც უდავოდ დგინდება მოპასუხე კომპანიისთვის სარჩელის ჩაბარება. იმავეს ადასტურებს 2018 წლის 28 თებერვლით დათარიღებული სასამართლოს უწყება. შესაბამისად, ადვოკატმა სარჩელის გაგზავნისას იმოქმედა კლიენტთან შეთანხმებით, მისი მითითებით, საპროცესო კანონმდებლობით და ზემოაღნიშნულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატს კომუნიკაცია ჰქონდა კლიენტთან და მის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედების თაობაზე კლიენტი სრულ ინფორმაციას ფლობდა. იმ საკითხზე მსჯელობა, უნდა ყოფილიყო თუ არა დიდ ბრიტანეთში გაგზავნილი სარჩელი თარგმნილი, არ შედის საპროცესო კოლეგიის უფლებამოსილებაში.

6.12 საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატის მხრიდან დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის დაუყენებლობა არ ემსახურებოდა მის ინტერესებს და აღნიშნული უთითებს ადვოკატის არაკეთილსინდისიერ მოქმედებაზე. 2018 წლის 20 მარტის სხდომაზე სასამართლომ მკაფიოდ დააფიქსირა პოზიცია, რომ მოსარჩელე მხარეს მოპასუხეთა დაზუსტების შემდეგ არ ერთმეოდა შესაძლებლობა გაეჟღერებინა ყველა ის შუამდგომლობა, რასაც იგი რელევანტურად მიიჩნევდა. კოლეგიამ შეაფასა 2018 წლის 27 ივნისის ელ.ფოსტის მიმოწერა, საიდანაც ირკვევა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე შუამდგომლობის დაუყენებლობის მიზეზი იყო მოპასუხე მხარეების დაზუსტების საკითხი, რაზეც სასამართლოს მიერ 3 მაისამდე მიეცა დრო და მოცემული არგუმენტაცია ცნობილი იყო კლიენტისთვის. ვინაიდან საჩივრის ავტორი ესწრებოდა ყველა პროცესს მისთვის ცნობილი გახდა მოსამართლის შეფასება, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი არ განიხილებოდა მოპასუხეთა წრის დაზუსტებამდე. შედეგად, კოლეგია მიიჩნევს, რომ ვ. პ. ადვოკატისგან დეტალურ ინფორმაციას ფლობდა თუ რატომ ვერ დააყენებდა შუამდგომლობას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით. საქმეში არ არის წარმოდგენილი ადვოკატის განმარტების შემდეგ კლიენტის კატეგორიული მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულება.

6.13 საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატმა დ. კ.-მა არ ითანამშრომლა პროფკავშირების იურისტ თ. გ.-სთან და შემდგომ საქმეში დამატებით ჩართულ სხვა იურიდიული ფირმის ადვოკატებთან, რის გამოს საქმის მსვლელობას ზიანი მიადგა. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატებს არ შეუთანხმებიათ სამოქმედო სტრატეგია და მეტიც ადვოკატმა დ. კ.-მა უარი განაცხადა იურისტ თ. გ.-ს მიერ მომზადებული სარჩელის დისკრიმინაციის ნაწილის ტექსტის გადახედვაზე. მეორეს მხრივ, საჩივრის ავტორის ადასტურებს ადვოკატებს შორის

კომუნიკაციას და თუმცა მიაჩნია, რომ ორი წლის ურთიერთობის მანძილზე 70-მდე მეილის გაგზავნა და ის რომ ელ. ფოსტის CC-ში იყვნენ ადვოკატები ჩართულნი, არ ნიშნავს, რომ ადვოკატები ურთიერთობდნენ. საქმის მასალებით ირკვევა, რომ სამოქალაქო საქმეზე N--- -16 მოსარჩელეს, ვ. პ.-ს წარმოადგენდნენ წარმომადგენლები: დ. კ., თ. ც., თ. გ., რ. ლ. დაზუსტებული სარჩელის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შრომითი ურთიერთობის არსებობის აღიარება; ბრძანების ნათილად ცნობა, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენა ან ტოლფასი სამუშაოთი უზრუნველყოფა, იძულებითი მოცდენის ანაზღაურება; დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და ზიანის ანაზღაურება, სამუშაო განაწილებული იყო წარმომადგენლებს შორის. ვ. პ.-ს სურვილითა და მასთან შეთანხმებით, დისკრიმინაციის ნაწილზე მუშაობდნენ პროფკავშირების იურისტები თ. გ. და რ. ლ. საადვოკატო ბიურომ VBAT კლიენტთან ურთიერთობის დაწყების ეტაპზევე გამოხატა თანხმობა სხვა ადვოკატებთან ერთად გაძღოლოდნენ ვ. პ.-ს საქმეს, თუ იმ ადვოკატთა ხედვა დაემთხვეოდა მათ სტრატეგიას და კლიენტს განემარტა, რომ აღნიშნული მისი ინტერესებიდან გამომდინარეობდა, რაც დასტურდება ადვოკატ თ. ც.-ის 2016 წლის 12 სექტემბერს გაგზავნილი ელექტრონული წერილით ვ. პ.-თან. 2016 წლის 10 ოქტომბერს უკვე ადვოკატი დ. კ. წერს საჩივრის ავტორს: „იმის გათვალისწინებით..... რომ შევთანხმდით წარმომადგენლობის ფარგლებში, რომელი მხარე (ვგულისხმობ --- -ს და თ.-ს) რომელ სამართლებრივ მიმართულებებზე იქნება პასუხისმგებელი, ვფიქრობ ერთობლივად შეგვიძლია შევუტიოთ მოწინააღმდეგე მხარეს.“ 2016 წლის 13 ოქტომბრის ელ. ფოსტის მიმოწერიდან ირკვევა, რომ საჩივრის ავტორი პროფკავშირების იურისტთან ერთად მუშაობდა დისკრიმინაციის ნაწილზე: „შეთანხმებული გეგმის მიხედვით მე და თ. გ. ვხვდებით და ვამუშავებთ ახალი სარჩელის დისკრიმინაციის ნაწილს.“ შესაბამისად, კოლეგია დადასტურებულად მიიჩნევს ფაქტს, რომ „იურიდიულ ფირმა -- “-ს არ აუღია პასუხისმგებლობა სარჩელის ამ კონკრეტული ნაწილის მომზადებაზე. კოლეგიამ შეისწავლა საქმეში წარმოდგენილი ელ.ფოსტის მიმოწერები და დაადგინა, რომ თ. გ. და რ. ლ. იყვნენ საქმესთან დაკავშირებულ მიმოწერაში ჩართულნი. კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომ ადვოკატი დ. კ., თ. გ. და რ. ლ. არ შეთანხმებულან ერთიან სამოქმედო სტრატეგიაზე. 2016 წლის 06 ოქტომბრის ელ. ფოსტის მიმოწერიდან ირკვევა, რომ ვ. პ. , დ. კ., თ. ც. და თ. გ. შეხვდნენ ერთმანეთს და შეათანხმეს სამოქმედო სტრატეგია, რომელიც საპროცესო კოლეგიაში მტკიცებულების სახით არის წარმოდგენილი, ხოლო შემდეგ კლიენტის ჩართულობით ელ. ფოსტით გაგრძელდა შეთანხმებული მუშაობა საქმეზე (დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილია შემდეგი თარიღების: 7.10.16, 11.10.16, 13.10.16, 17.10.16, 09.11.16, 11.11.16, 14.11.16, 12.12.16, 13.12.16, 20.12.16, 13.03.17, 3.03.17, 21.03.17, 12.04.17, 31.07.17, 15.09.17, 7.02.2018, 9.03.18, 11.04.18, მიმოწერა). ვ. პ. თავად ადასტურებს, რომ ელ. ფოსტით მხარეებს ორი წლის განმავლობაში ჰქონდათ მიმოწერა, ხოლო მიმოწერის გაცნობის შედეგად ირკვევა, რომ თ. გ. და რ. ლ. არა მხოლოდ ელ. მიმოწერის ასლებს იღებდნენ, არამედ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატები ათანხმებდნენ საქმის დეტალებს და შეთანხმებულად მუშაობდნენ. შედეგად, კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატებს შორის როგორც პირადად, ასევე ელ.ფოსტის მეშვეობით ჩამოყალიბდა აქტიური კომუნიკაცია, რამაც ხელი შეუწყო კოორდინირებულ მუშაობას როგორც დაზუსტებული სარჩელის მომზადების ნაწილში, ასევე მედიაციის პროცესის ორგანიზების დროს. მიმოწერით დგინდება, რომ არსებით საკითხებზე შეთანხმებისას ადვოკატმა დ. კ.-მა არაერთხელ გამოხატა ინიციატივა სკაიპ კონფერენციით ან შეხვედრით გაეცვალათ მხარეებს პოზიციები. რაც შეეხება ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის დასრულების შემდეგ ახალ ადვოკატებთან თანამშრომლობის საკითხს,

ადვოკატის პოზიცია საქმის გადაბარების შესახებ ვ. პ.-სთვის ცნობილი გახდა 2018 წლის 3 მაისის წერილით, როდესაც ადვოკატმა გამოხატა მზადყოფნა დაებრუნებინა მისთვის საქმის მასალები და კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე მომსახურების შინაარსზე მხარეებს შორის კომუნიკაცია გაგრძელდა ივნისის ჩათვლით.

6.14 საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატი დ. კ. და მედიატორი ს. ჩ. მოპასუხე მხარესთან შეთანხმებით მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ. საჩივრის ავტორი ასევე ეჭვობს, რომ მასსა და ადვოკატ დ. კ.-ს შორის მიმდინარე შიდა საუბრების შესახებ ინფორმაციას ფლობდა მედიატორი. 2017 წლის 21 მარტის ელექტრონულ მიმოწერაზე დაყრდნობით კოლეგია დადასტურებულად მიიჩნევს ფაქტს, რომ საჩივრის ავტორის სურვილით დავა გადაეცა მედიაციას. ამავე დღეს ადვოკატმა დ. კ.-მა წერილობით განუმარტა კლიენტს თუ რატომ არ მიიჩნევდა იმ ეტაპზე მედიციას პერსპექტიულად. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი დ. კ. სკეპტიკურად იყო განწყობილი მედიაციის პროცესის მიმართ კლიენტის ნების გათვალისწინებით და მასთან შეთანხმებით ადვოკატის დავალებით ადვოკატმა თ. ც.-მა მოამზადა საქმე დავის მედიაციისთვის გადაცემის თაობაზე. საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებით დასტურდება, რომ ადვოკატებმა 2017 წლის 13 აპრილს ადვოკატებმა მიმართეს სასამართლოს დავის მედიაციისთვის გადაცემის თაობაზე, ხოლო 2017 წლის 16 აგვისტოს განჩინებით საქმის წარმოება შეჩერდა და საქმე გადაეცა მედიაციას (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 16 აგვისტოს განჩინება მედიატორისთვის საქმის გადაცემისა და საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, საქმე N-- -16). კოლეგიამ 2017 წლის 14 სექტემბრის ელ.ფოსტის მიმოწერის შესწავლის შემდეგ დაადგინა, რომ საჩივრის ავტორმა საკუთარი სურვილით აირჩია მედიატორად ს. ჩ.. საქმეში წარმოდგენილი 2018 წლის 18 სექტემბრის ელ. ფოსტის მიმოწერით დგინდება, რომ ადვოკატმა კლიენტს დეტალურად განუმარტა მედიაციის პროცედურის საკითხები და სპეციფიკა. 2017 წლის 25 დეკემბრის ელ.ფოსტის მიმოწერით დგინდება, რომ საჩივრის ავტორმა ადვოკატებთან შეუთანხმებლად ჩართო მედიაციის პროცესში ახალი მედიატორი ი. ყ. კოლეგიამ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დადასტურებულად მიიჩნია, რომ ადვოკატის მხრიდან კლიენტის ინფორმირების ვალდებულება არ დარღვეულა. ადვოკატი მოქმედებდა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და კლიენტის მითითებების შესაბამისად.

6.15 საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ მედიაციის გაცნობით შეხვედრაზე ადვოკატის მხრიდან მოპასუხე მხარეების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეუმოწმებლობა მიუთითებს ადვოკატების არაკვალიფიციურობასა და მოპასუხე მხარესთან შეთანხმებით კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებაზე. კოლეგიამ შეაფასა საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილი 2018 წლის 27 ივნისის ელ.ფოსტის მიმოწერა, სადაც ადვოკატი საჩივრის ავტორს წერს: „მხარეთა ჩართულობას და წარმომადგენლობას მედიაციის სესიებზე ამოწმებს მედიატორი.“ აღნიშნული მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ კლიენტი ინფორმირებული იყო იმ მიზეზის შესახებ, რის გამოც არ მოითხოვა ადვოკატმა მედიაციის გაცნობით შეხვედრაზე მოპასუხე მხარეების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შემოწმება. ამავე მიმოწერით კლიენტს განემარტა მედიაციის სპეციფიკა და ის ფაქტი, რომ ადვოკატი მედიაციის შემდგომ ეტაპებზე აღარ მიიღებდა მონაწილეობას. შედეგად, ადვოკატის მხრიდან კლიენტის ინფორმირების ვალდებულება დაცული იყო.

6.16 საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ მოსამართლის ერთპიროვნული გადაწყვეტილება მთავარი სხდომის ჩანიშვნის თაობაზე ადვოკატს უნდა გაეპროტესტებინა. ადვოკატის უმოქმედობის

გამო საჩივრის ავტორს შეეზღუდა სასამართლოსთვის ახალი მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა. ადვოკატის პოზიცია განსხვავებულია, კერძოდ მოსამართლის მითითებით საქმე მთავარ სხდომაზე განსახილველად მზად იყო, რადგან მხარეებს საკმარისი დრო ჰქონდათ მტკიცებულებების წარსადგენად. ადვოკატი განმარტავს, რომ განჩინება მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ კერძო საჩივრით არ საჩივრდება. ადვოკატი ასევე უთითებს, რომ ვ. პ. მათგან დამოუკიდებლად ახორციელებდა საპროცესო მოქმედებებს, კერძოდ, აყენებდა საქმესთან შემხებლობაში არმქონე მტკიცებულებების დართვის თაობაზე შუამდგომლობებს. აღნიშნულს ადასტურებს 2018 წლის 13 მარტის შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის თაობაზე. 2018 წლის 20 მარტს ჩანიშნული სასამართლო მოსმენისთვის ადვოკატები კლიენტთან შეთანხმებულად ემზადებოდნენ, რაც დასტურდება მხარეებს შორის მიმდინარე მიმოწერით (მხარეებს შორის 3.03.18, 5.03.18 ელ. მიმოწერა). საჩივრის ავტორი პირადად ესწრებოდა ყველა სასამართლო სხდომას, მისთვის როგორც სხდომის მსვლელობიდან, ასევე ადვოკატის მხრიდან ცნობილი იყო იმ მიზეზის თაობაზე, რის საფუძველზეც ჩაინიშნა საქმის განხილვის მთავარი სხდომა. შედეგად ამ ნაწილში კოლეგია ვერ ადგენს ადვოკატის მხრიდან ინფორმირების ვალდებულების დარღვევას. არსებული პრაქტიკის (დისც. საქმე №039/19, პარ. 5.6, დისც. საქმე №062/18, პარ. 6.13, შეადარეთ ასევე დისც. საქმე №051/16, პარ. 6.6, დისც. საქმე №151/13, პარ. 5.9) შესაბამისად, კოლეგია არ ამოწმებს ადვოკატის მიერ გაკეთებული განცხადებების და სხვა საპროცესო მოქმედებების ხარისხს და შერჩეული სტრატეგიის ეფექტიანობას.

6.17 საჩივრის ავტორი ადვოკატის მხრიდან მოპასუხე მხარის მიერ მისი ანაზღაურების საკითხზე დაკავშირებული კითხვების გაუპროტესტებლობას ადვოკატის არაკვალიფიციურ და არაკეთილსინდისიერ მოქმედებად განიხილავს. საჩივრის ავტორის შეფასებით, სასარჩელო მოთხოვნებიდან იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საკითხი დასაქმების სააგენტო „ე--ის“-ის წინააღმდეგ არ იყო მიმართული, შესაბამისად, მის წარმომადგენელს არ ჰქონდა ანაზღაურების საკითხზე კითხვების დასმის უფლება. ადვოკატი შეფასებით, შრომითსამართლებრივ დავებში დამკვიდრებული პრაქტიკის გათვალისწინებით რელევანტურია საჩივრის ავტორის დასაქმებისა და ანაზღაურების საკითხზე კითხვების დასმა. საჩივრის ავტორი ასევე განმარტავს, რომ ადვოკატმა სასამართლო პროცესზე არ გააპროტესტა მოპასუხე მხარის მიერ მედიაციის პროცესში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების მცდელობა; აქედან გამომდინარე, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატმა სასამართლო სხდომების მიმდინარეობის დროს არაკვალიფიციური და არაკეთილსინდისიერი წარმომადგენლობა განახორციელა. ადვოკატი უთითებს, 2018 წლის 29 მაისს ჩატარებულ სხდომაზე თავად მოსამართლე დაინტერესდა მედიაციის წარუმატებლად დასრულების მიზეზით. კოლეგია კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ მის კომპეტენციაში არ შედის შეაფასოს ადვოკატის თითოეული ქცევა, როდესაც პრეტენზია მომსახურების ხარისხს უკავშირდება და განსაჯოს რამდენად კვალიფიციური წარმომადგენლობა გაუწიეს მან კლიენტს. კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ-კლიენტს შორის ელ.ფოსტით მიმდინარე აქტიური კომუნიკაციის შედეგად კლიენტი დეტალურ ინფორმაციას ფლობდა ადვოკატის მიერ განხორციელებულ სამართლებრივ მოქმედებებზე.

6.18 საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატის მხრიდან მოპასუხე კომპანიის წესდების გადაუმოწმებლობის გამო მოითხოვა სასამართლომ მოპასუხეთა წრის დაზუსტება. საჩივრის ავტორის განმარტებით, ფილიალს რეესტრში წარდგენილი აქვს ძირითადი საწარმოს წესდება,

რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ძირითადი საწარმოს მოპასუხე მხარედ მითითების მართებულობას. ამასთან დაკავშირებით ადვოკატი განმარტავს, რომ მათი თითოეული საპროცესო მოქმედება შეთანხმებული იყო კლიენტთან და მიზნად ისახავდა კლიენტის ინტერესების ჯეროვან დაცვას სასამართლოში. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ვინაიდან კლიენტი დეტალურ ინფორმაციას ფლობდა ადვოკატის მიერ განხორციელებული თითოეული მოქმედების თაობაზე, რასაც თავად საჩივრის ავტორის წერილობითი და ზეპირი განმარტებაც ადასტურებს, ადვოკატს ჰქონდა კლიენტთან უწყვეტი კომუნიკაცია, საქმის ყველა დეტალზე თავისი ინიციატივითაც უკავშირდებოდა და კლიენტს არ შეზღუდვია მასთან დაკავშირება, ადვოკატ დ. კ.-ის მიერ დაცულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2, მე-5 და მე-6 ნაწილებით დადგენილი პროფესიული ქცევის სტანდარტები.

6.19 საპროცესო კოლეგიამ საჩივრის ავტორის შემდეგი პრეტენზიის: ადვოკატმა მედიაციის პროცესში ოპტიმისტურად შეაფასა სასარჩელო რისკები, რის გამოც მოპასუხემ უარი განაცხადა დავის მედიაციით დასრულებაზე, თაობაზე იმსჯელა ადვოკატ დ. კ.-ის მიერ აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით.“

6.20 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატმა კლიენტს უნდა აცნობოს ყველა იმ მოსალოდნელი რისკის შესახებ, რომელიც თან ახლავს კონკრეტული საქმის წარმოებას. წინასწარი ზუსტი პროგნოზის გაკეთება საქმის მსვლელობის შესახებ შეუძლებელია, ვინაიდან იქნება ეს სასამართლო წარმოება, თუ საქმის მედიაციით განხილვა ბევრი ისეთი საკითხი შეიძლება წამოიჭრას, რაც გავლენას მოახდენს დავის გადაწყვეტაზე.

6.21 ,,გარანტიის მიცემის აკრძალვა არ გულისხმობს, რომ ადვოკატებმა არ აცნობონ კლიენტს საქმესთან დაკავშირებული რისკების დონის და იურიდიული მომსახურების სავარაუდო დასრულების შესახებ მათი შეფასების თაობაზე. გარანტიის მიცემად განიხილება შემთხვევა, როდესაც ადვოკატი კლიენტს ჰპირდება საქმის წარმატებით დასრულებას და მოგების 100%-იან გარანტიას აძლევს.“ (ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები, 2010-2013 წ.წ., ავტორები: ე. გასიტაშვილი, კ. ბოჭორიშვილი, დ. კვჭანტირაძე, თ. ხუბულური, გვ. 75)

6.22 „ადვოკატის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს, რომ იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში ნდობის ამაღლებისა და დაფასებისათვის. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მისგან მიღებული საქმის შედეგზე გარანტიის მიცემა ზიანს აყენებს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებსა და ნდობას და ასევე, კლიენტს უჩენს არასწორ მოლოდინს სასამართლო გადაწყვეტილებისადმი და კლიენტის მიერ შესაძლო რისკების შეფასება რთულდება. შესაბამისად, ადვოკატის მიერ გაცემული გარანტია საფრთხეს უქმნის როგორც საადვოკატო საქმიანობისადმი სანდოობას, ისე, მართლმსაჯულების სისტემისადმი დამოკიდებულებას; თუკი კლიენტისათვის მოულოდნელი სასამართლო გადაწყვეტილებით სრულდება საქმე, კლიენტი, როგორც საზოგადოების წევრი უნდობლობით განიმსჭვალება ან ადვოკატის ან სასამართლო ხელისუფლების მიმართ, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება ადვოკატის პროფესიის განზოგადებულ რეპუტაციაზე ან მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებაზე.“ (ეთიკის კომისიის 2014 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N077/13).

6.23 საჩივრის ავტორი ადვოკატის მხრიდან სასარჩელო რისკების დაანგარიშებას გარანტიის მიცემად განიხილავს. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატის მხრიდან შეფასებული საქმის მოგების 72%-იანი მაჩვენებლის გამო მოითხოვა დავის მორიგებით დასრულებისთვის მაღალი თანხა, რამაც მედიაციის პროცესის წარუმატებლად დასრულება გამოიწვია. 2017 წლის 27 ნოემბრის მხარეთა შორის მიმდინარე ელ. მიმოწერით დასტურდება, რომ ადვოკატმა დ. კ.-მა ნამდვილად შეაფასა დადებითი საპროცესო შედეგის დადგომის ალბათობა, კერძოდ, მიუთითა, რომ აღნიშნული საქმის მოგების 72%-იანი შესაძლებლობა არსებობდა. კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ განხორციელებული მოქმედება ვერ შეფასდება გარანტიის მიცემად, რადგან საქმის პერსპექტიულობის შეფასება საადვოკატო საქმიანობის ნაწილია და არ არღვევს გარანტიის მიცემის დაუშვებლობის პრინციპს. კოლეგია გაეცნო 2017 წლის 15 ნოემბრის ელ. ფოსტის მიმოწერას, საიდანაც ნათლად იკვეთება, რომ ადვოკატმა დ. კ.-მა საჩივრის ავტორს აცნობა მედიაციის პროცესში მორიგების მინიმალური და მაქსიმალური თანხის შესახებ და განუმარტა, რომ კლიენტის გადასაწყვეტი იყო, თუ რა პირობებით მოითხოვდა მედიაციის წარმართვას. შედეგად, ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა გარანტია მისცა მას საქმის შედეგზე, რადგან წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა მხოლოდ საქმის პერსპექტიულობაზე ადვოკატის მიერ ვარაუდის გამოთქმა, რისკების შეფასება და არა დაპირება დავის შედეგზე.

6.24 საპროცესო კოლეგიამ საჩივრის ავტორის შემდეგი პრეტენზიის: ადვოკატმა სასამართლო სხდომამდე ერთი კვირით ადრე უარი განაცხადა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაზე, თაობაზე იმსჯელა ადვოკატ დ. კ.-ის მიერ აპეკ-ის 8.7 მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.“

6.25 ადვოკატი პროფესიის თავისუფლებიდან გამომდინარე თავად იღებს გადაწყვეტილებას რომელ საქმეზე გაუწევს კლიენტს იურიდიულ მომსახურებას, რა პირობებით, ასევე რა საფუძლით დაასრულებს კლიენტთან ურთიერთობას, თუმცა პროფესიული ქცევა ადვოკატს ავალდებულებს გონივრული ვადის დაცვას წარმომადგენლობის შეწყვეტისას, რათა კლიენტს ჰქონდეს შესაძლებლობა დროულად მიმართოს სხვა ადვოკატს დახმარებისთვის.

6.26 საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატ დ. კ.-ის მხრიდან ერთი კვირით ადრე ხელშეკრულების შეწყვეტით მას ზიანი მიადგა, რადგან ახალმა ადვოკატებმა ვერ შეძლეს საქმის სათანადოდ მომზადება და სხდომაზე კვალიფიციური წარმომადგენლობა. პროფესიული სტანდარტის დაცულებისთვის მნიშვნელოვანია დადგინდეს საქმის წარმოების რა ეტაპზე შეწყდა კლიენტთან იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება და ჰქონდა თუ არა მას გონივრული ვადა ესარგებლა სხვა ადვოკატის სამართლებრივი მომსახურებით. მხარეებს შორის ურთიერთობის შეწყვეტას წინ უძღოდა 18.04.18, 23.04.18, 27.04.18, 30.04.18, 01.05.18 ვ. პ.-სა და დ. კ.-ს შორის მიმოწერა საქმის სამომავლო სტრატეგიაზე, ვინაიდან სასამართლომ ვ. პ.-ს 2018 წლის 3 მაისამდე მისცა ვადა სარჩელის დაზუსტებისთვის. ადვოკატსა და კლიენტს შორის გამოიხატა სხვაობა პოზიციებში. კოლეგია ასევე გაეცნო მხარეთა შორის განხორციელებულ 2018 წლის მაისის თვის დანარჩენ მიმოწერას საიდანაც ირკვევა, რომ დ. კ.-ის მხრიდან სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა განაპირობა საჩივრის ავტორის მხრიდან საქმეში

ახალი ადვოკატების ჩართვამ, რაც ადვოკატმა დ. კ.-მა შეიტყო თავად კოლეგებისგან და კლიენტთან საქმის სამომავლო სტრატეგიაზე შეუთანხმებლობამ. 2018 წლის 3 მაისს ადვოკატმა დ. კ.-მა ელ. ფოსტით მიწერა კლიენტს, რომ მისი მხრიდან ნდობის ნაკლებობა, ასევე საქმის სამომავლო სტრატეგიაზე განსხვავებული ხედვები ხელს შეუშლიდა ბიუროს კლიენტის ინტერესების სათანადოდ დაცვაში და იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომ მას შესაძლებლობა ჰქონდა დროულად ესარგებლა სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, საადვოკატო ბიურო --- -იმ ვ. პ.-ს უარი უთხრა იურიდიული მომსახურების გაწევის გაგრძელებაზე. ადვოკატმა კლიენტს ამავე წერილში განუმარტა, რომ მიუხედავად იმისა, მათ უკვე განახორციელეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მეორე ეტაპის მომსახურების ნაწილი, გამოხატეს კეთილი ნება და მეორე ეტაპის ღირებულებას სრულად დაუბრუნებდნენ საბანკო ანაგრიშზე. 4 მაისის წერილით ვ. პ. აცხადებს, რომ ახალ კომპანიასთან მისი თანამშრომლობის მთავარი დადებითი მხარე არის ის, რომ ისინი იღებდნენ პასუხისმგებლობას ყოფილიყვნენ მისი წარმომადგენლები ყველა ინსტანციაში და ისინი იმოქმედებნენ შეთანხმებულად --- ადვოკატებთან. ვ. პ.-მა გამოხატა სურვილი ადვოკატ დ. კ.-თან და მის ბიუროსთან გაგრძელებულიყო თანამშრომლობა. 5 მაისის წერილით ადვოკატმა დ. კ.-მა აცნობა კლიენტს, რომ ნდობის დაკარგვის პირობებში მან იმოქმედა კლიენტის საუკეთესო ინტერესებით და სთხოვა კლიენტს ეცნობებინა რომელ საბანკო ანგარიშზე ისურვებდა ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნებას. 5 მაისის წერილს ვ. პ. პასუხობს 21 მაისს და კვლავ გამოხატავს თანამშრომლობის გაგრძელების სურვილს, რაზეც იმავე დღეს წერილობით განემარტა ადვოკატ დ. კ.-ისგან, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის სპეციფიკა არ იძლევა იმის საშუალებას რომელიმე მხარემ აუკრძალოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტა, გარდა იმ მცირე პერიოდისა, სანამ კლიენტი აიყვანს სხვა ადვოკატს და მათი უარი ურთიერთობის გაგრძელებაზე ძალაში რჩებოდა. 31 მაისის ელ. ფოსტის წერილით ვ. პ.-მა ადვოკატ დ. კ.-ს აცნობა თუ რომელ საბანკო ანგარიშზე უნდა ჩაერიცხა მისთვის დაბრუნებული იურიდიული მომსახურების საფასური. 31 მაისის წერილით ვ. პ. ადასტურებს თანხის ჩარიცხვას. მიმოწერით დგინდება, რომ კლიენტთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება შეწყდა სასამართლო პროცესამდე 25 დღით ადრე, 2018 წლის 3 მაისიდან, რაც წარმოადგენს გონივრულ ვადას საადვოკატო მომსახურების შესაწყვეტად გამომდინარე კონკრეტული პროცესის სპეციფიკიდან. შესაბამისად, კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა დ. კ.-მა პროცესამდე ერთი კვირით ადრე შეწყვიტა მასთან ხელშეკრულება. მიმოწერით ასევე დგინდება, რომ იმ პერიოდისთვის ვ. პ.-ს ჰყავდა ახალი წარმომადგენლები და იგი წარმომადგენლის გარეშე არ დარჩენილა, შესაბამისად კოლეგიის შეფასებით ადვოკატ დ. კ.-ის მხრიდან დაცულია კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის წესი (აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი). მხარეებს შორის ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ ყოფილმა კლიენტმა 2018 წლის 18 ივნისს წერილობით მიმართა ადვოკატს კითხვებით საადვოკატო ბიუროს წარმომადგენლების მიერ განხორციელებულ მომსახურებაზე, რაზეც ადვოკატმა დ. კ.-მა ყოფილ კლიენტს 2018 წლის 21 ივნისს გაუგზავნა განმარტებები იმ ელ. ფოსტით, რაზეც მხარეებს ჰქონდათ კომუნიკაცია.

6.27 საპროცესო კოლეგიამ საჩივრის ავტორის შემდეგი პრეტენზიის: ადვოკატმა ეთიკის კომისიაში შემოტანილ საჩივარზე პასუხის მომზადებისას გამოიყენა სასამართლოს ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა ინფორმაციის მისაღებად, მაშინ, როდესაც იმ პერიოდში მხარეებს

შორის შეწყვეტილი იყო ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, თაობაზე იმსჯელა ადვოკატ დ. კ.-ის მიერ აპეკ-ის მე-5 მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ,,ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა.”

6.28 ყოფილი კლიენტის საქმისწარმოების შესახებ ადვოკატის მიერ მოპოვებული ინფორმაცია კონფიდენციალურია, ვინაიდან კონფიდენციალურად მიიჩნევა ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობისას როგორც უშუალოდ კლიენტისაგან, ასევე ადვოკატის მიერ სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია. ,,აპეკ-ის მე-4.2 მუხლით, ადვოკატი უფლებამოსილია გაამჟღავნოს ის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ეთიკის კომისიაში ყოფილი კლიენტის მიერ წაყენებული ბრალდებისაგან თავის დასაცავად, მაგრამ ადვოკატმა თავიუნდა დაიცვას კანონის დაცვით მოპოვებული მტკიცებულებებით.“ ეთიკის კომისიის 2012 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე N001/12, პარ. 7.5.

6.29 დასრულებული საქმის მასალების გამოყენება ადვოკატს შეუძლია თუ კლიენტი კითხვებს უსვამს და პრეტენზია აქვს მომსახურებაზე. კლიენტის ინტერესია ადვოკატმა სრული პასუხები გასცეს დასმულ კითხვებზე, რასაც იგი ვერ შეძლებს მასალების გამოყენების გარეშე. ადვოკატმა არ უნდა გაასაჯაროოს ან გამოიყენოს მიღებული ინფორმაცია კლიენტის საზიანოდ, ასევე არ უნდა გაცდეს იმ ფარგლებს, რაც მოთხოვნილია კლიენტის მიერ დასმული შეკითხვით, ან რაც აუცილებელია ეთიკის კომისიაში, სასამართლოში ან სხვა კომპეტენტურ ორგანოში წარდგენილი პრეტენზიისგან დასაცავად. ადვოკატი ვერ გამოითხოვს დამატებით ინფორმაციას იმაზე მითითებით, რომ ის კვლავ ადვოკატია, რადგან ამ შემთხვევაში დარღვეული იქნება ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 მუხლის მოთხოვნა - კლიენტის მითითების არარსებობა, რაც ასევე წარმოადგენს აპეკ-ის მე-5 მუხლის, კლიენტის ინტერესების უპირატესად დაცვის, საწინააღმდეგო მოქმედებას. თუმცა თუ ადვოკატს უკვე აქვს ელექტრონული წვდომა საქმის მასალებზე, მიღებული იმ პირობებში, როდესაც ის წარმომადგენლობას ახორციელებდა, ამ შემთხვევაში ამ ინფორმაციის გამოყენება, თავის დასაცავად ეთიკურია. ეს იგივეა, რომ ადვოკატმა არ დაიტოვოს საქმის მასალების ასლები, მაშინ, როდესაც კანონით კლიენტს შეუძლია სადაო მოქმედებიდან 5 წლის განმავლობაში წარადგინოს პრეტენზია ადვოკატის მიმართ ეთიკის კომისიაში (,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლი). საჩივრის ავტორს ადვოკატ დ. კ.-ის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი განმარტების გაცნობის შემდეგ წარმოეშვა პრეტენზია, რომ ადვოკატმა პასუხის მომზადებისას გამოიყენა სასამართლოს ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა ინფორმაციის მისაღებად, მაშინ, როდესაც იმ პერიოდში მხარეებს შორის შეწყვეტილი იყო ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. კერძოდ, ადვოკატის შეპასუხებას ერთვის მტკიცებულება N39 - ვ. პ.-ს 2018 წლის 24 მაისით დათარიღებული განცხადება, ხოლო ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა მხარეებს შორის (ვ. პ.-ს მოსაზრებით) ამავე წლის 21 მაისს დასრულდა. ადვოკატის შეფასებით, ის მოქმედებდა პროფესიული ქცევის სტანდარტების დაცვით კლიენტისგან წამოყენებული პრეტენზიისგან თავდაცვისთვის და ინფორმაცია გამოიყენა მხოლოდ ეთიკის კომისიაში მიმდინარე წარმოების ფარგლებში. ამასთან, ვინაიდან ვ. პ.-მა ადვოკატთან ურთიერთობის დასრულების შემდეგ წერილობითი მიმოწერა გააგრძელა (ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგ ყოფილმა კლიენტმა 2018 წლის 18 ივნისს წერილობით მიმართა ადვოკატს კითხვებით საადვოკატო ბიუროს წარმომადგენლების მიერ განხორციელებულ მომსახურებაზე, რაზეც ადვოკატმა დ. კ.-მა 2018 წლის 21 ივნისს

გაუგზავნა განმარტებები იმ ელ. ფოსტით, რაზეც მხარეებს ჰქონდათ კომუნიკაცია) და დეტალურად ინტერესდებოდა გაწეული მომსახურების ფარგლებში განხორციელებული სამართლებრივი მოქმედებების შეფასებით, აღნიშნულის გამო ადვოკატი თვალს ადევნებდა საქმის მასალებს საქმისწარმოების პროგრამაში, რომ შეძლებოდა დასაბუთებული პასუხის გაცემა.

6.30 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ვ. პ.-სა და ადვოკატ დ. კ.-ს შორის ურთიერთობა დასრულდა 2018 წლის 21 მაისს, ხოლო ადვოკატის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილია ვ. პ.-ს 2018 წლის 24 მაისის განცხადება საქმეზე N2/18610-16 სასარჩელო მოთხოვნების და მოპასუხეების დაზუსტების შესახებ. აღნიშნული განცხადების წარმოდგენით ადვოკატი ცდილობს დაასაბუთოს კლიენტის პრეტენზიის უსაფუძვლობა დაზუსტებულ სარჩელში მოპასუხეთა წრის არასწორად განსაზღვრის შესახებ, რადგან აღნიშნული განცხადებით ვ. პ.-მა მოითხოვა ძირითადი საწარმოსა და ფილიალის ერთდროულად მოპასუხეებად დატოვება, რამაც კვლავ გაურკვეველი დატოვა სასარჩელო მოთხოვნა და 2018 წლის 29 მაისის სხდომაზეც მოსამართლემ აღნიშნა ის, რაზეც ვ. პ.-ს კონსულტაცია ადვოკატისგან მიღებული ჰქონდა. ადვოკატს არ განუხორციელებია რაიმე ქმედება მესამე პირების მიმართ კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტიდან ადვოკატის რანგში, მან გამოიყენა ის წვდომა, რომელიც მას მიღებული ჰქონდა საქმის მასალებზე ადვოკატად ყოფნის პერიოდში, ამასთან ამ წვდომით მიღებული ინფორმაცია არ გაუსაჯაროებია ან დავაში კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ არ გამოუყენებია. შესაბამისად, ვ. პ.-ს 2018 წლის 24 მაისის განცხადების ეთიკის კომისიაში მტკიცებულების სახით წარმოდგენა, არ სცდება კლიენტისგან წამოყენებული პრეტენზიისგან თავდაცვის ფარგლებს და ადვოკატის მიერ სასამართლო საქმისწარმოების პროგრამის გამოყენებით საქმისმასალების მიღება მიიჩნევა ეთიკურად.

6.31 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №083/18 ადვოკატ დ. კ.-ის /სიითი №----/ მიმართ /სიითი №----/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/